# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—375 მან. ცალკე №—15 მან.

ფასი 15 მან.

წელიწადი მეექვსე.

პარასკევი, გიორგობისთვის 19, 1920

№ 152

20 ნოემბერს, დღით შაბათს, სათირბხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

## ფარსადან ზურაბის ძე
## ნემსაძის

სულის მოსახსენებლათ,—რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ ქვრივი ნინო ქალი საშა ახვლედიანისა, ვაჟი ივანე, სიძე ევტიხი ახვლედიანი და შვილის-შვილი ჟულიო ახვლედიანი. 2—3283 1.

---

უნუგეშო მშობლები ზაქარია ალექსის ძე და მარიამი ნიკოლოზის ასული დავითაშვილები, შვილები მათი ნიკოლოზი მეუღლით, ლადო და ნინა მეუღლით—ვლადიმერ ფანცხავათი აუწყებენ ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთა, რომ 18 ამა ნოემბერს გარდაიცვალა პირველთა მარად დაუვიწყარი შვილი, ხოლო მეორეთ ძმა სტუდენტი

## გიორგი (გოგა) ზაქარიას-ძე დავითაშვილი.

პანაშვიდები საღამოს 6 საათზე. წირვა და დაკრძალვა შაბათს, ნოემბრის 20-ს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 9 ნახ. საათზე ბინიდან—ანდრეევის ქ., № 22. 3287. 1.

---

სახელმწიფო თეატრი

## ოპერა

პარასკევს 19 ნოემბერს პირველათ ქართულ ენაზე
**ლალატი**

შაბათს, 20 ნოემბერს მუშებისთვის
**ალი**

კვირას, 21 ნოემბერს
**კოპპელია**

ორშაბათს, 22 ნოემბერს
**მეორეთ ლალატი**

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

---

გამოცდილი რეპეტიტორი სტუდენტი
## იღებს გაკვეთილებს
სასურველია დილის საათები
მისამართი ეროვნ. დემოკრ. ბიურო (სასახლ. ქ. № 5)
ტელეფ. № 3-02 გამოელაპარაკეთ 10-2 საათამდე.

---

ქალაქ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 6,
გაიხსნა ევროპიულ—ქართული ტეხნიკური სავაჭრო და სამრეწველო კონტორა

## „ევრ-ივერია".

კონტორის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს აღმშენებლობის და მრეწველობის განვითარებას საქართველოში

კონტორას დამოკიდებულობა აქვს გერმანიასთან და მოკლე ხანში შეუძლია მოაწყოს წისქვილები, სადგურები, ქარხნები და ყოველივე სამრეწველო წარმოება. კონტორამ უკვე მიიღო გერმანიიდან. 3286. 3—1

**სამეურნეო და სხვა იარაღები**

---

## სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 19
ორშაბათს, 22
ნოემბერს

პირველათ თბილისში ქართულ ენაზე ოპერა

# ლალატი

მუსიკა იპოლიტოვ ივანოვისა, თარგმანი კ. ფოცხვერაშვილის მიერ.

ზეინაბ—ალეშკო, რუქჟია—ბურაკოვ-ცეხ ნოვსკაია, ირაკლი—სარაჯიშვილი, ოთარ-ბეგ—ელიოზიშვილი, სულეიმანი—საბინინი.

ოპერას დასდგამს ა. წუწუნავა
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**ახალი კოსტიუმები და დეკორაციები**
დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

დირიჟორი ს. ა. სტოლერმანი.
სახელმწიფო ოპერის ადმინისტრაცია

---

კინო




**არფასტო**
რუსთაველის პრ. 23.

**დღეს**

ერთსა და იმავე დროს ორს კინემოთეატრში „მინიონ"-ში და „არფასტო"-ში ახალი სეზონი

პირველად თბილისში შეუდარებელი და მიუბაძველი „მაცისტი" ერთად-ერთი მოთამაშე მხატვრულ ეკრანზე

# მაცისტ მედიუმი
## მაცისტი ჰიპნოზით

მხატვრულ-სალონური კინო-დრამა 6 ვრცელ ნაწილად. ქვეყნად არ არის არც ერთი კუთხე სადაც არ იცოდენ, სადაც არ უყვარდეთ და სადაც არ ეგრძნოთ აღფრთოვანება იმ სურათის ნახვის დროს, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობს ,,მაცისტი", რომელმაც კინოში შექმნა თავისებური მხატვრული ჟანრი. ,,მაცისტი მედიუმი"-ს უახლოეს სურათში, განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ კინოში ჯამბაზობის შეურიგებელი მოწინააღმდეგენიც კი ვერ მალავენ თავიანთს კმაყოფილებასა და გაკვირვებას. დასავლეთში და ამერიკაში ,,მაცისტი მედიუმს" მთელი 20 დღე აჩვენებენ ეკრანზე; ყველა კარებზე კი თქვენ წაიკითხავთ შემდეგს ორიგინალურ წარწერას:

## ჩვენ ყველანი წავედით ვნახოთ
## „მაცისტი მედიუმი"

კინო



**მინიონი**
ბარიატინის ქ.

**დღეს**

---

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

# კონიაკი

გაწმენდილი ჭურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (3 გზლის) ქ. № 5.

---

## სახელმწიფო დრამის თეატრი.
(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, ნოემბრის 20-ს და სამშაბათს, ნოემბრის 23-ს

## უმვირგვინო მეფენი
ალ. შანშიაშვილისა

ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა

რეჟისორი: აკაკი ფაღავა.

**ბილეთები კასაში**

კვირას, ნოემბრის 21 ს

## მსხვერპლი — ი. გედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.
რეჟისორი ალ. წუწუნავა. ბილეთები კაყიდულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

---

## გაზ. „საქართველო"-ს
აგენტების საყურადღებოდ

თელავი, ყვირილა-გორი, ახალსენაკი, ფოთი, ბათომი, სამტრედია.

გაზ. ,,საქართველო"-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები: წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ გაეგზავნება.

---

1920 წ. ნოემბრის 28-ს
დანიშნულია

## არაჩვეულებრივი საზოგადო
# კრება

ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერებისა (ცენტრობანკის).

კრება შესდგება დღის 12 საათზე ცენტრობანკის შენობაში (პუშკინის ქუჩა № 3.

# დღეს:

სტამბოლის გაზეთების ცნობით, მოკავშირე სახელმწიფოებს ვენიზელოსის პოლიტიკა აღარ მოსწონთ.

ბოლშევიკური ცნობით წითელმა ლაშქარმა კამენეც პოდოლსკი აიღო.

ინგლისის მთავრობის მიერ ბათომის დაკავების განზრახვის გამო, ჩიჩერინმა პროტესტი განაცხადა.

ვენიზელოსი საბერძნეთიდან გაიქცა.

გერმანიამ სილეზიას ავტონომია მიანიჭა.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი.

მეთაური: ჩვენ და ოსმალეთი.
პრესა: ,,ერთობა''.
მოხუცი: მწარე ფიქრები.
ჩვენი კორესპოდენტები: ქუთაისი.

## ჩვენ და ოსმალეთი.

აქამდის უჩინარმა „ანგორის დიდი ეროვნული ყრილობის" მთავრობამ, ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, მთავრობამ მუსტაფა ქემალ ფაშისამ მიიღო განსაზღვრული სახელმწიფოებრივი ფორმები და უკანასკნელ დროის პოლიტიკური და სამარი გამოსვლებით ნათელ ჰყო მთელი რეზონი თავისი არსებობისა.

ანგორის მთავრობა არის ოსმალეთში აქტიურად მომქმედი დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური და ნაციონალური ძალა, რომელსაც ოსმალეთის ოფიციალური მთავრობა სტამბოლში ანგარიშსაც უწევს და ბევრს შემთხვევაში კიდევაც ემორჩილება.

მიუხედავად იმისა, რომ ანგორის მთავრობის ზოგიერთი გამოსვლები კომუნისტური დაღით იყო აღნიშნული, რის გამო მოსკოვმა დიდი სიხარული გამოაცხადა,—მაინც აშკარაა ყველასთვის, ვისაც ჯეროვანად შეუსწავლია მუსტაფა ქემალ ფაშას მოძრაობის მოკლე ისტორია, რომ ანგორა არის ცენტრი პირწმინდა ნაციონალისტური თურქული მოძრაობისა, ყოველივე სოციალისტურსა და კომუნისტურ მომენტს მოკლებული.

მაშ რა ახლოვებს და ანათესავებს იდეურად ანგორსა და მოსკოვს? მხოლოდ და მხოლოდ ერთი გარემოება: საერთო სიძულვილი ანტანტისადმი და შეურყეველი ცდა მისი განდევნისათვის წინა აზიის სახელმწიფოებიდან! ამის გარეშე არ არსებობს არავითარი შემაერთებელი მოტივი ოსმალეთსა და დღევანდელ საბჭოთა რუსეთს შორის...

თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში ანტანტის და კერძოდ ინგლისისა და საფრანგეთის უფაქცევას ოსმალეთში, უნდა ადვილი გასაგები გახდეს „ანგორის დიდი ეროვნული ყრილობის" გავლენის საოცარი ზრდა ოსმალეთის ყველა წრეებში. ჩვენ საბუთები გვაქვს ვიფიქროთ, რომ სტამბოლის მთავრობას არსებითად არაფერი აქვს საწინააღმდეგო ანგორაში „ად ჰოკ"-ად შექმნილ ნაც ონალურ კაბინეთისა და ბევრი აქტები უკანასკნელისა პირველის დავალებითაც სრულდება.

მაშასადამე, შემცდარია ის აზრი, თითქოს ოსმალეთში სახელმწიფო აპარატის კრიზისი სუფევდეს, რომელიც უნდა დაბოლოვდეს ან სტამბულის, ან ანგორის დამარცხებით! ოსმალეთში გარეშე მიზეზთა გამო მოხდა მმართველობის ფორმალური დაყოფა ორ დიდ ნაწილად, მაგრამ ეს გარეგანი დაყოფა სრულებით არ შეიცავს საკონფლიქტო მიზეზებს და პოლიტიკურად ბრწყინვალე პორტა სამაგალითო მთლიან ერთეულს წარმოადგენს.

რამდენადაც უძლურია ოსმალეთი დასავლეთისა, იმდენად ძლიერი და აქტიურად მომქმედი აღმოჩნდა მისი აღმოსავლეთის ნაწილი. აქ თავი და თავი მიზეზი, რასაკვირველია ის არის, რომ სტამბულის ოსმალეთს საქმე აქვს ძლიერ ანტანტისთან, ხოლო ანგორი ასეთს მოწინააღმდეგებს ჯერჯერობით არ შეჰხვედრია...

უჩინარი და ,,შიგ მომქმედი'' ანგორი ამ ჟამად რეალურად გვაცნობებს თავის მყოფობას: მუსტაფა ქემალ ფაშამ ძვირად დაუსვა სომხეთს სევრის ხელშეკრულებაში მონაწილეობა! მან დაუნდობლად მილეწა ეს პატარა რესპუბლიკა და მრისხანე ძალად აღიმართა საქართველოს სამხრეთ სანაპიროებზე. დღეს საქართველოს სახელმწიფო მთელს საზღვრებს სამხრეთით ერთვის ,,ანგორის დიდი ეროვნული ყრილობის'' შეიარაღებული ძალები. ამ მოვლენამ დიდი მღელვარება გამოიწვია კავკასიაში და კერძოდ მის მოსახლეობს სამაჰმადიანო ნაწილში. ჯერაც გამოუცნობია, რითი დამთავრდება კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა! ერთი რამ კი დაუფარავია: ერთობ დაუდგრომელ სახელმწიფოთა რკალი არტყია კავკასიას. საქართველოს კი ურთულება სახიფათო მდგომარეობა იმ გარემოებითაც, რომ თვით კავკასია ალსავსეა ასაფეთქებელი მასალით.

ასეთს მდგომარეობაში საქართველოს ხელმწიფებას დანაშაულობად ჩაეთვლებოდა ,,სალათას ძილს'' მისცემოდა და არ ეზრუნვა ქვეყნის დაცვაზე. გამოცდილებიდან ვიცით, რომ მტერი საზოგადოთ უმეტობრდება ძლიერსა და მზად მყოფს! მტერი კი—ყველა დაგვერწმუნება—მეტის მეტი ბევრი გვყავს: დამოუკიდებელი საქართველოს ორწელნახევრის ისტორია მკვეთრ ტყველური შემამოწმებელია იმ ფაქტისა, რომ უამრავი

გააფთრებულ იერიშებს სწორედ იმ დროს აწარმოებდნენ, როდესაც საქართველოს მილიტარული ენერგია მინიმალურ შესაძლებლობას იძლეოდა ქვეყნის ღირსეულ დაცვისათვის.

საქართველოს მშვიდობას მოყვარე ყოფაქცევა მეზობელ სახელმწიფოებისადმი ეჭვს არავისში უნდა ჰბადებდეს: არა ყოფილა მაგალითი, რომ ჩვენს სახელმწიფოს ხმალი ეშიშვლოს ვისმეს წინააღმდეგ, უკეთუ მოწინააღმდეგეს ამის საბაბი არ მიეცა მისთვის! საქართველო მხოლოდ იგერიებდა მტრის თავდასხმას და არ აძლევდა მას საშუალებას თავისი ზრახვები განეარსებინა ჩვენი თავისუფლების შეწირვით.

არსებული საერთაშორისო ვითარება ავალებს ქართველ ხალხს დიდ სიფხიზლეს: საქართველო განმზადებული უნდა იყოს, რომ სხვა და სხვა ხალხის მოხერხებულ კომბინაციებმა მოულოდნელად არ მოღუნონ ჩვენი სახელმწიფოებრიობა! საქართველოს უნდა ჰყავდეს საკმაო რიცხვი შეიარაღებული ძალისა! ჩვენი სახალხო მობილიზაცია არავის უნდა უფრთხილდეს ძილს...

ამიტომ არც „ანგორის დიდი ეროვნული ყრილობის" წარმომადგენელს ქიაზ ბეის უნდა აწუხებდეს საქართველოს სამზადისი ყოველივე შემთხვევისათვის.

ჩვენ დიდის კმაყოფილებით შევიტყეთ ანგორის მთავრობის გამოსვლები მისი საქართველოსთან დამოკიდებულების შესახებ.

არ გამოუდგებით, თავის თავად ცხადია იმას, თუ რა განწყობილება სუფევდა ისტორიულად საქართველოსა და ოსმალეთ შორის: ავი იყო, თუ კარგი ჩვენი ისტორიული მეზობლობა, ეს ისტორიასვე ჩაჰბარდა და წარსული მოტივებით დღევანდელის ურთიერთობას ვერ დავასაბუთებთ. საქართველოს ესაჭიროება მცირე რამ კეთილგანწყობილების დასამყარებლად მეზობელ სახელმწიფოსთან: მას უნდა გარანტიები ხელშეუხებლობისა!

მუსტაფა ქემალ ფაშის რწმუნებულის ალთქანი მნიშვნელობას არ არიან მოკლებულნი! ანგორი მეგობრული კილოთი გველაპარაკება და ცხადია ამ მეგობრობის განზრახვებს ჩვენის მხრით მხოლოდ გულწრფელობა შეეგებება. ქიაზიმ ბეიმ კარგად უწყის, რა აუტანელ პირობებში აწესებს საქართველო თავის სახელმწიფოებრიობას. ცხადია, მობილიზაცია საქართველოს ლაშქრისა ერისა და სახელმწიფოს მყუდროების მოტივით არის გამოწვეული განსაკუთრებით. ამ ზომების აუცილებლობაში ვერვინ შემოგვედავება...

ანგორის დაპირებანი გვჯერა. მეგობრულად გამოწვდილი ხელი მუსტაფა ქემალ ფაშისა ჰაერში არ დაეკიდება...

ანგორის მთავრობა ოფიციალურად უარსაჰყოფს ლონდონის გაზეთ „ტაიმსის" ცნობას, თითქოს ოსმალეთს განუზრახავს საქართველოზე თავდასხმა და ბათომის და სამუსლიმანო საქართველოს მიერთება. გვახარებს ოსმალეთის განცხადება, მხოლოდ ჩვენ იმის მოლოდინში ვართ, რომ იგივე ანგორის მთავრობა ოფიციალურად დაჰკმობს ოსმალეთის მისარების პროვოკატორულ მოქმედებას აჭარაში და საჯაროდ განაცხადებს, რომ მუსლიმან ქართველების საქართველოზე წამქეზებლებთან ანგორის ხელის უფლებას არაფერი აერთებს.

საქართველომ იცის, სად თავდება მისი სახელმწიფოებრივი მიჯნა,—ეს მეზობლებმაც უწყიან და, თუ დღესაც ზოგნი ხელს გვიშლიან ჩვენი მიწაწყლის შემოკრების საქმეში ეს მიეწერება მათ მზაკვრობას მხოლოდ, მაგრამ ქართველ ხალხს ეს დაბრკოლება ვერ დააძევინებს უკან და საძიებელზედაც ხელს ვერ აალებინებს.

ჩვენ ს ცნობას უცხოელების მიერ უნდა დაერთვას ტერიტორიული ამოხაზვაც ჩვენი მიწაწყლისა. ესმით უფრო შეეხება ჩვენთან მომიჯნავე სახელმწიფოებს.. კომუნისტურმა რუსეთმა შეიგნო ქართველი ერის ეს შეუდრეკელი გარდაწყვეტილება და 7 მაისის ხელშეკრულებაში საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნობას დაუმატა ფრიად მნიშვნელოვანი მუხლის შესახებ ჩვენი საზღვრების აღნიშვნისა. ოსმალეთსაც მოეთხოვება საჯარო დადასტურება საქართველოს სახელმწიფო მიჯნის იმ ხაზზე მაინც, რომელიც გვაერთებს მასთან. ასეთი გამოსვლა ოსმალეთისა ნათელს შეიტანდა ჩვენი ურთიერთობის ბევრს ხარეში. სამუსლიმანო საქართველოს საკითხი საქართველოს პოლიტიროვან გადაჭრაზე დამოკიდებულია ჩვენი სახელმწიფოებრივი ნორმალური განვითარების საკითხი და ამაში ხომ მთელი ერი ერთიანად დაინტერესებულია...

მუსტაფა ქემალ ფაშას მთავრობის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება ოსმალეთში. ანგორის სახით დღეს საქართველოსთან მოლაპარაკებას იწყებს ოსმალეთის იმპერია. ეს მოვლენა დიდი ყურადღების ღირსია და ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ გაუგებრობა ჩვენს შორის დროზე გაიფანტოს კეთილმეზობლური განწყობილების დამყარებას ოსმალეთთან ჩვენ ობიექტიური პირობები გვიკარნახებენ.

## პ რ ე ს ა

,,ერთობას'' ჩვენი შეხედულება ვრცლად განუმარტეთ იმ პოზიციის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია მთავრობაში მონაწილეობის არ მიღებისა და მთავრობის გადადგომის მოთხოვნის მომენტთან. ამაზედ მოკამათეს თავისი რეპლიკა არ მოუცია. სამაგიეროდ იგი ეხება მოწინავე წერილს, რომელიც იმავე ნომერში იყო მოთავსებული, რომელშიაც ხსენებული განმარტება. და სანამ დარღვეული არ იქნება ჩვენი მოსაზრება, შესახებ კოალიციაში არ ყოფნისა და მთავრობის მთლიანად გადადგომის მოთხოვნის ლოღიკური შეთავსებისა, ყველა ჩვენი არგუმენტი ძალაში რჩება. ჩვენ ჩვენს თავს არ ვეწინააღმდეგებით, როდესაც ამ ორ მომენტს ერთმანეთთან ვათავსებთ. თავი და თავი საკაიათო დებულება სწორედ ეს გახლდათ.

ისე კი უნდა იცოდეთ: ზოგიერთი მინისტრის (ცნება ზოგიერთი ერთს კი არ ნიშნავს, არამედ რამოდენიმეს, თუ ქართული იცით) უვარგისობა, უთავბოლობა კრიმინალური წაყრუება მის სამინისტროში მყოფ მოხელეთა ბოროტმოქმედებისა მთელი მთავრობის შემადგენლობის გამოცვლას მოითხოვს,—ჯერ ერთი, კაბინეტური პასუხის მგებლობის პრინციპის ძალით და მერე უბრალო სალი გონებისა და გრძნობის ძალითაც, ვინაიდან თუ კაბინეტის უმრავლესობის წინააღმდეგ უვარგისობის ბრალდებაა წამოყენებული, ამ უმრავლესობის გასვლით მთელი შემადგენლობაც უნდა წავიდეს. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ახალი მთავრობის შედგენის დროს, ძველიდან არავინ მოჰყვება და რომ ძველ თავმჯდომარეს ისევ ახალი კაბინეტის შედგენა არ მიენდობა... იქნებ ეს ასე არ გვგონოთ და მიტომაც იკაწრავდეთ თავპირს.

—

,,ერთობა'' გვეკამათება, ,,მთავრობამ ნდობა ხალხში კი არ დაჰკარგა არამედ იმ საზოგადოებაში, რომელიც ,,საქართველოს'' გარშემოა შეკრებილი და ეს ნდობის დაკარგვა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მთავრობის პოლიტიკა მთელი ხალხის კეთილდღეობაზეა მიმართულიო''.

„ერთობას" ეს არ სჯერა, მაგრამ იგი ამას ,,ქუჩისთვის'' სწერს. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ქუჩა ,,დღეს ის ქუჩა არ არის, რომელიც გუშინ იყო. ეს ქუჩა დღეს აშკარად იწუნებს და მღელვარებს ერაძის სამინისტროს წინააღმდეგ. მეორეს მხრით, განა ჟორდანიამ, ხომერიკმა და ბოლოს თქვენ თვითონ იმას არ ამბობდით და არ სწერდით, რომ საქართველო შიგ კატასტროფაში არისო. თუ ეს ასეა, ეხლა ვიკითხოთ, ვინ არის პასუხის მგებელი ამ კატასტროფის, ვისმა პოლიციკამ შექმნა იგი?

იგი შექმენით თქვენ და თქვენ ხართ მისი პასუხის მგებელი! თუ თქვენახართ ავტორები იმისა, რაც კარგი სჭირს საქართველოს, იმავე ლოღიკით თქვენა ხართ ავტორები იმისაც, რაც მას ცუდი სჭირს. ეხლა, როგორ გგონიათ, ამ კატასტროფას განა ხალხი არ გრძნობს, მის შედეგებს განა მწვავედ არ განიცდის მთელი ჩვენი. ქვეყანა?

რასაკვირველია კი! ხალხი ამას გრძნობს, უკმაყოფილოა ამის, მისგან იტანჯება და ტელავს კიდეც. განა, შესაძლებელია ამ ხალხის თვალში მთავრობა და მისი პოლიტიკა ნდობით იყოს მოსილი?!

რასაკვირველია არა!

და ჩვენც ამას ვწერდით: მთავრობამ ხალხში ნდობა დაჰკარგაო. ამას თქვენც ხედავთ, მაგრამ მოქალაქობრივი გამბედაობა არა გაქვთ, რომ ესა სთქვათ!

„ერთობა'' მორცხვად ,,უარყოფს'' იმ ცნობას რომ მთავრობა გადადგა ფრაქციის წინაშე და რომ შესდგა კომისია მთავრობის წევრების შესარჩევად, ,,უარყოფს'' როგორნაც ამ ცნობებს ჩვენ ვაქვეყნებთ და ზოგიც ჩვენი აზრის დასასაბუთებლად მოგვყავს. ჩვენ ვიცით რომ თქვენ საჯაროდ მომხდარის მიჩქმალვაც გემარჯვება, არამც თუ იმის, რაც ფრაქციის დახურულ კედლებში ხდება.

ამისა და მიუხედავათ ჩვენ ვამბობთ რომ ამ ფაქტებს ადგილი ჰქონდა და რომ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ცნობები მართალია. აქ პოლიტიკურად სასირცხო და სკანდალური არაფერია თავის თავად და თქვენ, რომ მეტი პოლიტიკური გონი გქონდეს, ამგვარ ფაქტს საშინელებად არ წარმოადგენდით და მის უარსაყოფათ ტყუილებს არ დაიწყებდით. მაგრამ თქვენ გინდათ ქვეყანა დააჯეროთ, რომ ,,на шипкѣ все спокойно!''

—

ეხლა ბ-ნი ჩხიკვიშვილის შესახებ. ჩხიკვიშვილს თავისი განსაზღვრული პოლიტიკა ჰქონდა აჭარა ქობულეთში. ამ პოლიტიკის დაფასებაში ორი მიმდინარეობა შეიქმნა: ერთი ოფიციალური, სავალდებულო მიმდინარეობა—,,ერთობისა''—სუსტი და დარცხვენილი.

მეორე უფრო ფართე, ღრმა, თავისუფალი, საზოგადოებრივი: ამ მიმდინარეობას განაპიროვნებდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი, გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო'', გაზეთი ,,საქართველო'' და ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგების სიტყვიერი გამოსვლა ბათომსა და ბათომის მხარეში, გაზეთი ,,ახალი სხივი'' და მთელი სოც. დემ. ოპოზიცია.—აი ფაქტი. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა მეორე მიმდინარეობამ. ეს ჩვენი პოზიციის გამარჯვებაც არის, რამდენადაც მას ვიცავდით იდეურად, სიტყვით და კალმით. ჩხიკვიშვილი მოიხსნა და გიორგაძე გაიგზავნა. გიორგაძემ მყისვე სხვა მეთოდი შემოიღო და სხვანაირი ორგანიზაციით ფიქრობს დაკისრებული მძიმე საქმის სამსახურს. ესეც ფაქტია.

თვით ბ-ნმა ჩხიკვიშვილმა, გაზეთ ,,ბათომის ფურცელში'' აღნიშნა მისი პოლიტიკის სხვაობა და ამ პოლიტიკის მოქმედების შეწყვეტა. ეს ცნობა ,,საქართველოში'' მოვათავსეთ, სხვათა შორის ,,ერთობის'' საყურადღებოთაც. რა ფასი აქვს ამის შემდეგ ,,ერთობის'' მტკიცებას: ჩხიკვიშვილის პოლიტიკა არ დამარცხებულაო! ,,ერთობის'' მიზანია—და ამისთვის ტყუილებსაც არ ერიდება—დაამტკიცოს რომ მათ ბანაკში ყველაფერი რიგზეა, რომ ,,на шипкѣ все спокойно''.

თუ ეს გიშველით, იარეთ ძველი რეჟიმის გზით და მეთოდით!

## უცხოეთში

**მთავრობის კრიზისი გერმანიაში.**

გერმანიაში მთავრობის კრიზისი თანდათან მწიფდება. პოლიტიკურ წრეებში უკმაყოფილონი არიან განსაკუთრებით საგარეო საქმეთა მინისტრის სიმონსის პოლიტიკით. ეს გარემოება მთავრობის კაბინეტის კრიზისს ჰქმნის, მთელი თავისი შემადგენლობით. სოციალისტები სცდილობენ მთავრობაშიდაც იშოვონ პროპორციულად იმდენი ადგილი, რამდენსაც ისინი პარლამენტში წარმოადგენენ. (ველიკ. როსია.)

**შვეიცარიელი სოციალისტები და 3-მე ინტერნაციონალი.**

სოციალისტური პარტიის კონფერენციაზე ოლტენში განხილული იქნა მოსკოვის კომუნისტური ინტერნაციონალის 21 მუხლოვანი პირობები. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მიღებული იქნა გრიმის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია:

1. მოსკოვის პირობების 21 მუხლი მიუღებელია.

2. პარტიის გამგეობას და კომიტეტს ევალება კავშირი დაიჭიროს იმ პარტიებთან, რომლებიც შევიდენ მესამე ინტერნაციონალში, მაგრამ არ სურთ შეასრულონ მოსკოვის პირობები. ამ მოლაპარაკების დროს განხილული და შეცვლილი უნდა იქნას მესამე ინტერნაციონალში შესვლის პირობები.

10 დეკემბრისათვის ბერნში დანიშნულია შვეიცარიის სოციალისტური პარტიის სასწრაფო თათბირი.

**ვრანგელი და უკრაინა.**

რიგის გაზეთებში მოთავსებულია ინტერვიუ უკრაინის (პეტლიურას) მთავრობის შინაგან მინის. საქ. სალიკოვსკისთან. სალიკოვსკიმ ასე დაახასიათა ვრანგელი:

ვრანგელი—მეფის დროის ტიპიური გენერალია. მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა, იქვი არ არის, უფრო კონსერვატიულია ვიდრე დენიკინის მსოფლ-მხედველობა, მაგრამ ვრანგელი უფრო ჭკვიანი და გამოცდილია. ის ეხლა ცარშიყება დემოკრატიას. ვერავინ იქნები იმის თავდები, რომ თუ ვრანგელის მდგომარეობა გაუმჯობესდა, მისი პოლიტიკა მარჯვნით არ გადიხრება. სანამ ვრანგელის მთელი ყურადღება ბოლშევიკურ ფრონტისკენ არის—ის არ არის საშიში უკრაინისათვის, სასარგებლოც არის. ჩვენ ჯერ ჯერობით საერთო მტერი გვყავს. თუ წინ გაიწია და ისევ მოიქცევა, როგორც დენიკინი. უეჭველია, ისეთივე წინააღმდეგობას შეიხვედრებს უკრაინელ გლეხების მხრივ, როგორც დენიკინი და დაეცემა.

**ანატოლიის პრობლემა.**

კონსტანტინოპოლი 25 ოქტომბერი. გაზ. ,,ბოსფორის'' თანამშრომელი იუწყება.

,,ამ ახლო ხანში მე მინახულა მლადოთურქმა, რომელიც ჩამოსულია ანგორიდან. ჩემთან საუბრის დროს ის შეეხო სევრის ხელშეკრულების შესრულებას, განაცხადა ახალგაზდა ფანატიკმა ეს ხელშეკრულება შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მაშინ, თუ ცენტრალური მთავრობა შეეცდება დაბეჯითებით მოითხოვოს როგორმე ხელშეკრულების გადახედვა, რომელიც შედგენილია წინააღმდეგ ვილსონის პრინციპებისა''.

მე ყოველივე ეს ვაცნობე ერთ დიდ თანამდებობის პირს და ღიმილით მიპასუხა: მუსტაფა ქემალი იმ წამსვე დათანხმდება ხელშეკრულებაზე, როგორც კი გაიგებს რომ პორტას სათავეში მისი

მართლაც, მე გავიგე რომ არსებობს ორი აზრი ანატოლიის საკითხის შესახებ, ზოგი ფიქრობს, მუსტაფა არას გზით არ გადაუხვევს თავის გადაწყვეტილებას გაზაფხულამდე მეორენი კი ფიქრობენ, რომ კონსტანტინოპოლთან მაშინ შეიძლება აწარმოოს მოლაპარაკება, თუ რომ კაბინეტი იქნება მისი ნდობით აღჭურვილი.

გავიგონე ასეთი შენიშვნებიც: ,,ძალას უნდა ძალით ვუპასუხოთ, რამოდენიმე ყუმბარა ანგორამდის და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. ეს ერთად ერთი პირობაა რომელიც აიძულებს კონფერენციის პირობები, შეასრულოს'' როგორც ეტყობა, ანატოლიის საკითხის გადაჭრა არც ისე ადვილი ყოფილა, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე: დათანხმდება თუ არა ქემალი მიიღოს სევრის ხელშეკრულება.

## [illegible]

### ს. დ. ს. სინფ. ბიუ. ცნობები.

**რუსეთის სტუდენტობა.**

მოსკოვი. „იზვესტიაში" დაბეჭდილია წერილი რედაქციის მიმართ, რომელშიაც ავტორი მოსკოვის სტუდენტების ელ მაშფოთებელ სულიერ განწყობილებას აღნიშნავს. სტუდენტთა დაუშვებელი ყოფა-ქცევა დამამტკიცებელია იმ საშინელ გაბრაზებისა, რომელსაც სტუდენტობა საბჭოთა ძალა—უფლების მიმართ გრძნობს".

**საალყო წესები რუსეთში.**

მოსკოვის გარნიზონის უფროსმა გამოსცა ბრძანება. თანახმად ბრძანებისა: 1. მოსკოვში უნდა გაძლიერდეს სადარაჯო რაზმები, 2. რაზმებს ევალებათ მოსკოვის ქუჩების კონტროლის გაწევა. ამასთანავე მათ ევალებათ მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ეტლებით და ავტომობილებით მოსიარულე ხალხს, მათ არა თუ მარტო პასპორტები არამედ მანქანის დოკუმენტებიც უნდა გასინჯონ 3. ღამით ყაზარმებიდან ჯარის კაცების გაშვება რაც შეიძლება უნდა შემცირდეს. 4. მოქალაქეების ღამის 12 საათ. შემდეგ ეკრძალებათ ქუჩებში გამოსვლა. 5. სამხედრო დაწესებულებათა პასუხისმგებელ პირებს ევალებათ დაიჭირონ კავშირი თავდაცვის კომიტეტთან და რესპუბლიკის შინაურ სამსახურის სარდალთან და სხვ.

**დეზერტირობა წითელ ლაშქარში.**

მოსკოვი. „იზვესტიაში" დაბეჭდილია მთავრობის ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი: „უცხოეთის პრესა ავცელებს ხმებს თითქოს საბჭოთა ჯარში მასიური დეზერტირობა იყოს გავრცელებული, თითქოს რუსეთში ხდებოდეს აჯანყებები, ტერორისტური აქტები, ხიდების და გზების აფეთქება და სხვა" აღნიშნული ხმები ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულნი არიან.

**ინგლისელები რუსეთში**

ლონდონი. (რადიო) თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯმა შეკითხვებზე განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთში კიდევ ბლომად იმყოფებიან ინგლისის ქვეშევრდომნი, რომელნიც სამშობლოში დაბრუნებას ელიანო. ლოიდ-ჯორჯის ფიქრით საბჭოთა მთავრობას არაფერი ექნება საწინააღმდეგო, რომ ინგლისელი მოქალაქენი გაანთავისუფლოს. როდესაც კი ეს პირები გამოვლენ რუსეთიდან და ბოლშევიკების მხრივ შეწყდება დიდი ბრიტანეთის საწინააღმდეგო აგიტაცია, ინგლისის მთავრობა მზად იქნება, რომ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება აღადგინოსო.

**გერმანია და საფრანგეთი.**

ლონდონი. (რადიო) ზარალის გამომრკვევმა კომისიამ ამ მოკლე დროში კონკრეტულად უნდა გამოარკვიოს იმ თანხის რაოდენობა, რომელიც გერმანიამ საფრანგეთს უნდა გადასცეს. ინგლისი თანახმაა რომ დაკმაყოფილებულ იქნეს საფრანგეთის მოთხოვნილება, მაგრამ მოითხოვს ანაზღაურების ციფრი არ აღემატებოდეს იმას, რისი გადახდაც შეუძლია გერმანიას. პრესას იმედი აქვს, რომ ეს საკითხი სამართლიანად გადაწყდება.

## რუსეთის ცნობები.

**სამხედრო ცნობა**

მოსკოვი. 17 ნოემ. ლეტიჩევის მიმართულებით ჩვენი ჯარები ქალ. ლეტუიჩევს 12 ვერსის მანძილზე მიუახლოვდენ. პროსკუროვის რაიონში მკაცრი ბრძოლების შემდეგ ჩვენ დავამარცხეთ მტერი და მდინარე ბუგისკენ მივიწევთ. კამენეც პოდოლსკის რაიონში ნოემბრის 16 ჩვენმა ჯარებმა აიღეს ქალაქი კამენეც პოდოლსკი. ქერჩის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ქერჩი უბრძოლველად აიღო. ხელთ ვიგდეთ დიდ ძალი სამხედრო ნადავლი.

ვრანგელის დაღუპვის შემდეგ ჩვენ გავანადგურებთ სხვადასხვა ბანდიტთა რაზმებს უკრაინაში და დასავლეთ რუსეთში. მუშები და გლეხები, რომლებიც გამარჯვებას ზეიმობენ, ფხიზლად უნდა იდგნენ თავის პოზიციებზე. ვრანგელის განადგურების შემდეგ დასავლეთის ბურჟუაზია იძულებული იქნება გაუწიოს ანგარიში საბჭოთა რუსეთს და აღადგინოს მასთან სავაჭრო ურთიერთობა

ლება. მაგრამ [illegible] მეორე ბურჟუაზიული [illegible] სამხედრო პარტია, რომელიც არ ანებებს თავს რუსეთის წინააღმდეგ მტრობას. სამხედრო პარტია ოცნებობს საქართველოში ბათომის დაკავების და ამ პარტიის მიზანი არის ბაქოს დაკავება. საბჭოთა რუსეთი იმედოვნებს, რომ ინგლისში გაიმარჯვებს ის ჯგუფები, რომლებიც საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების მომხრენი არიან. საბჭოთა რუსეთი აფრთხილებს დასავლეთის ბურჟუაზიას, რომ იგი მზად არის მოიგერიოს ახალი თავდასხმა.

## ლიონის ცნობები.

ყირიმის ევაკუაცია. ,,პტი პარიზიენი'' იუწყება: გენერალი ვრანგელი კონსტანტინოპოლში მივიდაო. კონსტანტინოპოლში მისულა. აგრეთვე სევასტოპოლიდან გამოქცეული 40000 ლტოლვილი.

პარიზიდან იუწყებიან: ლვოვმა და მაკლაკოვმა რუსის ხალხს მოწოდებით მიმართა, რომ ისინი არ დაეცენ სულით თუმცა ვრანგელი დამარცხდა, მაგრამ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც გრძელდებაო, სწერენ ისინი. გლეხები უკვე უმაღლებენ ხმას საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ. ამ მოძრაობას უნდა დაუჭიროთ მხარი და რუსეთი მონობისაგან უნდა გავანთავისუფლოთ.

## სომხეთ ოსმალეთის ომი.

**სომხეთი და ერთა ლიგა.**

სომხეთის დელეგაციის ხელმძღვანელს ავ. აგარონიანსა და სომხეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელს რომში მ. ვარდანიანს განზრახული ჰქონდათ ნოემბრის 16-ს ერთა ლიგის საბჭოსათვის მოეხსენებია სომხეთზე ოსმალეთის თავდასხმის ამბავი.

**საბერძნეთი და მოკავშირენი.**

— მოკავშირეებს საბერძნეთის შესახებ აზრი შეეცვალათ, ისინი სცდილობენ, რომ ვენიზელოსი არ იქმნეს არჩეული. (ბ. ფ.)

**ვრანგელი და ანტანტი.**

— ვრანგელის კრახის მოლოდინში ეს მესამე კვირაა რაც აქ არიან ანტანტის მისიები. ჯერ კიდევ ქ. გენიჩესკის აღებამდე ინგლისმა რუსეთის გარემოცვა დაიწყო.

— ვრანგელისადმი რეალურ დახმარებას დაჟინებით მოითხოვს საფრანგეთი. (ბ. ფ.)

**საქართველოს მიმართ**

**რუსეთის ულტიმატუმის შეს. ხებ.**

საქართველოში მყოფმა რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიან წარმომადგენელთან არსებულმა ბეჭდვი ბიურომ მოსკოვიდან 6 ნოემბრის 17 ს მიიღო შემდეგი რადიო: ,,ინგლისური გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები, თითქოს საბჭოთა რუსეთის საქართველოსათვის ულტიმატუმი წარედგინოს, სიმართლეს არ შეიცავს და სრული უაზრობაა. საბჭოთა რუსეთს არც სომხეთისათვის და არც საქართველოსათვის არავითარი ულტიმატუმი არ წარუდგენია, როგორც ყველგან, კავკასიაშიც საბჭოთა რუსეთი სცდილობს მშვიდობიანობის დამყარებას.''

**ბ ა თ ო მ შ ი.**

— ადგილობრივი გაზეთების ცნობით შესაძლებელია ბათომში პორტო ფრანკოდ გამოცხადდეს.

— აჭარისკენ გაემგზავრენ საგანგებო მინდობილებით ის. რამიშვილი, სულაქველიძე, მამედ-ბეგი აბაშიძე და მოქლაძე, რომელთაც დავალებული აქვთ მუსლიმან მცხოვრებლებთან საქართველოს მთავრობის პოლიტიკის განმარტება.

— განსაკუთრებულმა რწმუნებულმა დაავალა თავის თანაშემწე ვ. სულაქველიძეს, რათა მან აუწყოს ბათომის ოლქის მცხოვრებლებს, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა ყოველი დანაშაული ჩადენილი საქართველოს ჯარის მოსვლამდე მათ ეპატიათ. დაევალა აგრეთვე: აცნობოს ყველა იმ პირთ ვინც გაქცეულა და მიტოვებული აქვს სახლკარი, დაუბრუნდეს ოჯახს და თავისი ოჯახური მუშაობა განაგრძოს. ის პირები, ვინც შემჩნეული იქნება რუსის ბოლშევიკის ან თურქი ქემალისტებისაგან ენტების შენახვაში, ან რაიმე ცნობას მათ შესახებ მთავრობას არ აცნობებს, სასტიკათ იქნება დასჯილი. (ბ. ფ.)

**საქართველოს დამოუკიდებლობა და ევროპის სოციალისტები.**

პარიზი. ,,სოციალისტურმა ჯგუფმა'' განიხილა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ და რენოდელის წინადადებით დაადგინა მიიღონ ყოველგვარი ზომები საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად ბოლშევიკებისა და ქემალისტების თავდასხმიდან და აგრეთვე იშუამდგომლონ ანტანტას მთავრობის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილი იქნას იურიდიულად'' (,,პოპიულერ ნოველისტი'')

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ს. დემ. სტუდენტთა კომიტეტის ცნობები.

**კომიტეტის სხდომა.**

პარასკევს გიორგობისთვის 19-ს საღამოს 8 საათზე სტუდენტთა მთავარ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია სტუდენტთა კომიტეტის სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ საკადემიო კომისიის წევრებიც.

— —

### სტუდენტთა საერთო კრება.

შაბათს გიორგობისთვის 20-ს საღამოს 8 საათისათვის მეორე აუდიტორიაში დანიშნულია სახელ. უნივერ. ერ. დემოკ. სტუდენტთა საერთო კრება, მოხსენებას გააკეთებს დამფ. კრების წევრი ბ-ნი ალ. ასათიანი საქართველოს დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

— —

### მეორე უბნის კომიტეტის სხდომა.

პარასკევს გიორგობისთვის 19-ს საღამოს 6 საათისათვის დანიშნულია მეორე უბნის ერ. დემ. პარ. კომიტეტის სხდომა რომელზედაც მოვალენი არიან ათის თავებიც დაესწრონ.

## ახალი ამბები.

### მთავრობაში.

— **გერმანელების გადმოსახლება საქართველოში.** საქართველოში გერმანელების გადმოსახლების საკითხის განხილვის შემდეგ მთავრობამ დაადგინა: ანდოს მიწად მოქმედების მინისტრს მართოს ბერლინში მყოფს საქართველოს წარმომადგენელს თხოვნით, რათა მან გამოგზავნოს დაწვრილებითი ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებიც საქართველოში გადმოსახლება სურთ.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღების მზადება.** თანახმად გზათა მიმოსვლის მინისტრის მოხსენებისა, მთავრობამ დაადგინა: მისცეს გზათა მიმოსვლის დეპარტამენტს უფლება რკინის გზების მთავარ სახელოსნოებში სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებისა.

— **თავდაცვის საბჭოს დაარსება.** მთავრობის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ თავდაცვის საბჭოს დაარსების შესახებ მთავრობამ დაადგინა: დაარსოს თავდაცვის საბჭო იმავე საფუძველზე, რა საფუძველზედაც დაარსებული იგი თანახმად აპრილის 27 ბრძანებისა.

### სამინისტროებში.

— **იუსტიციის სამინისტროში.** იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას განსახილველად პროექტი დეკრეტისა, ყოფილ თავადის ნიკოლოზ ბარელსკის ქონების ჩამორთმევის შესახებ. თანახმად პროექტისა 1) ყოფილ თავადის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მინგრელსკის უძრავი და მოძრავი ქონება, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, ხდება საქართვ. რესპუბლიკის საკუთრებად.

### ერობებში.

— **ერობათა კავშირში.** ერობათა კავშირში მოვიდა ცნობა აგრარულ რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. აირჩიეს ერობები. არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. სულ 16 თემი არის არჩეული. ზოგიერთ სოფლებში მუშაობა მაგიდებმა დაიწყეს მოქმედება. დაიწყეს მუშაობა მაზრაში ტელეფონის ხაზის გასაყვანად. ნოემბრის 23-ს საერთო ერობის ყრილობა არის დანიშნული.

### სხვა და სხვა.

— **სატარიფო პალატაში.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა ჩექმის შეკერვისთვის შემდეგი ტარიფი დააწესა: 1) მაღალი ლანჩით—2500 მან. რწყილში, დაბალ ლანჩით—2200 მან.

სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა ქალაქთა კავშირის მოსამსახურეთათვის პრემიები დაამტკიცა. პრემიალური ჯილდო ნოემბრის პირველიდან არის შემოღებული და შემდეგ ციფრებში გამოიხატება: მოანგარიშეს—1450 მან. თვეში. დახლზე გადამწერს და რეგისტრატორს 50 მან.

— **გუდაუთის შუამდგომლობა.** გუდაუთის ქალაქის თვითმართველობამ შეიტანა საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა თამბაქოზე და ღვინოზე საფუძო გადასახადის გადიდების შესახებ.

— **მარგანეცი.** გზათა დეპარტამენტის საბჭოში შევიდა შუამდგომლობა ქუთაისის შავი ქვის მრეწველთა საქართველო საზოგადოებისაგან, რომელიც ითხოვს, რომ მარგანეცის საწყობისათვის უფასოდ გადასცენ ადგილი სადგ. ფოთის ბოლო. გზისა და ექსპლოატაციის სამსახურის განყოფილებანი თანახმა არიან, რომ დაკმაყოფილდეს ეს შუამდგომლობა.

— **გზათა დეპარტამენტის** მასალათა განყოფილებამ დეპარტამენტის საბჭოში წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ გადაიწეროს აზერბაიჯანის რკინის გზაზე ღირებულება იმ ნავთისა, რომელიც ჩაჩიბაიას მიერ გამოგზავნილი იყო ქუთაისის საბარგო სადგურიდან ტფილისში და რომლის რაოდენობაც 7.984 ფუთს უდრიდა. ეს ნავთი გამოგზავნილი იყო ბათომში და იგი ჯერაც არ შემოსულა საქართველოში.

— **ქალაქთა კავშირში.** ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის წევრის კანდელაკის თავმჯდომარეობით შედგა სტატისტიკურ კომისიისა და მთავარ კომიტეტის ორი კრება, რომლებზედაც განიხილეს საკითხი საქართველოს ქალაქების ცხოვრებათა სრულიად შესწავლისა. კომისიის მუშაობის დაწყებისას თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომიტეტის მიზანია გამოიყენოს წინასწარი აღწერა: ქალაქთა საბჭოების, პარლამენტის და ნაფიც მსაჯულთა საარჩევნო სიები, აგრეთვე ქალაქთა საბჭოების საგადასახადო სიები და სხვა. ამ საშუალებით კომიტეტის მიზანი არის გამოარკვიოს აქ მთავარი აღწერით ქალაქთა თვითმართველობების საქმიანობა. კომისიის ერთმა წევრმა გამოსთქვა სურვილი გამოკვლევისა: თუ როგორ გავლენას ახდენს სასურსათო კრიზისი მცხოვრებლებზე, როგორ სასურსათო დახმარებას იღებენ მუშები და მოსამსახურენი, როგორ გავლენას ახდენს სასურსათო კრიზისი ავადმყოფობის გავრცელებაზე და სხვა. მაგრამ ამ საკითხის წინააღმდეგ გაილაშქრეს კომისიის სხვა წევრებმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეს საკითხი საექიმო სტატისტიკის კომპეტენციაში შედისო.

რაც შეეხება აღწერის პრაქტიკულად განხორციელებას, გადაწყდა, რომ ამრჩევლები განსაკუთრებულ უწყებაში შეიტანონ.

— ნოე სიხარულიძემ გადასწყვიტა თავისი ტრაგიკულად დაღუპული შვილის ავთანდილის ხსოვნის აღსანიშნავად მისსავე სახელობაზე გამოსცეს ი. მჭედლიშვილის სრული თხზულებანი რამდენიმე წიგნად.

— ორშაბათს, 2ა ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით დანიშნულია გასარჩევად ცნობილი საქმე ი. ს. ვარაზაშვილისა, რომლის საქმის გამოძიება სწარმოებდა აგერ ორი წელიწადია.

— **მასწავლებელთა ყრილობის გადადება.** სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭომ თავის სხდომაზე ა. წ., ნოემბრის 16 იქონია მსჯელობა იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ქვეყანა და დაადგინა: ვინაიდან ნოემბრის 20-სათვის დანიშნული დელეგატთა ყრილობის მთავარი მიზანი იყო მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რაიმე საშუალების გამონახვა და ცხოვრებაში გატარება, რასაც დღეს შეუძლებლად ხდის თავდაცვისათვის სამხედრო მზადება, ამიტომ ოცისთვის დანიშნული ყრილობა გადაიდოს შობის არდადეგებისათვის. აცნობოს ეს დეპეშით ყველა ორგანიზაციებს, რომ დელეგატები აღარ გამოგზავნონ.

ბიურომ უკვე გაგზავნა დეპეშები 16 ნოემბერს ღამით.

— **კოწია თუმანიშვილის განთავისუფლება.** ცნობილი პუბლიცისტი კოწია თუმანიშვილი რომელსაც დაჰბრალდა მთავრობის თავმჯდომარის სიტყვიერი შეურაცხყოფა და ამისთვის ექვსი თვით ციხე ჰქონდა მისჯილი ადმინისტრატიული წესით, მთავრობის დადგენილებით გაანთავისუფლეს. კ. თუმანიშვილმა 37 დღე დაჰყო ციხეში.

— **სახელმწიფო უნივ.** საბუნებისმეტყველო სამეურნეო დარგის სტუდ. სამეცნიერო წრეში სტ. ალექსანდრე სანაძე წაიკითხავს მოხსენებას „რქიან საქონლის მოშენების სხვა და სხვა მეთოდები". მოხსენება წაკითხულ იქნება ა. წ. შაბათს, ნოემბრის 20-ს საღამოს 7 საათზე, გეოგრაფიის აუდიტორიაში.

— **ახალი საგამომცემლო აქციონერული საზოგადოება.** თბილისში არსდება საგამომცემლო აქციონერული საზოგადოება 30 მილიონ მანეთის თანხით. აქციონერულ საზოგადოებაში შევლენ „საქართველო" და „გრუზიის" გამოცემანიც.

### თბილისის მილიციის უფროს.

დაუყონებლივ აკრძალეთ ყოველგვარ შენობებზე და ღობეებზე აფიშების და სხვა განცხადებების გაკვრა. ისინი უნდა იკვრებოდეს ამისთვის სპეციალურად აოიგებულ საფუძო სვეტებზე.

უბრძანეთ კომისრებს, რომ ამ ბრძანების შესრულებას სასტიკი თვალყური ადევნონ და სადაც გაკრულია განცხადებები დღემდე, დაუყონებლივ მოაფხეკინონ სახლის ან სადგომების პატრონებს და ან მათ მეეზოვეებს.

სამი დღის შემდეგ, დღეის რიცხვიდან. კომისრები და მათი თანაშემწეები, აქ ბრძანებას შეუსრულებლობაში შენიშნულნი, ჩემ მიერ იქნებიან დასჯილნი.

### სოხუმში

აფხაზეთის კომისარიატის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა ყოფილი სამხედრო ლაზარეთი გადაკეთოს სამოქალაქო საერობო საავადმყოფოდ 80 ლოგინით. აქედან 40 ლოგინი დანიშნული იქნება სამხედრო პირთათვის. ფიქრობენ მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრას იმ მიზნით, რომ მთავრობამ ზემოაღნიშნულ საავადმყოფოს ორგანიზაციო ხარჯებისათვის გადი-

## სიძვირე და მასთან ბრძოლა.

**წერილი 2.**

პირველ წერილში უმთავრესად აღვნიშნეთ თუ რა რიგ გაიზარდა ჩვენში სიძვირე ამ 2—3 წელიწადში და რომ შეუწყო ხელი ასეთ საარაკო ზრდას.

ამ წერილში კი განვიხილავთ, თუ რა რიგ ვებრძოლოთ ამ სიძვირეს, რა ზომები მივიღოთ და როგორ ჩავაყენოთ ჩვენი ერის ნივთიერი და ფინანსიური ცხოვრება თავის ნორმალ (კალაპოტში) რა რიგ დაუბრუნოთ მას ერის და რესპუბლიკის არსებობისათვის საჭირო ჯანსაღობა და როგორ შევქმნათ ერის ნივთიერი კეთილდღეობა.

საღი ეკონომიკა და საღი ფინანსები ქმნიან საღ პოლიტიკას და ამტკიცებენ სახელმწიფო წყობილებას. ეს ყოველი პოლიტიკის ძირითადი მცნება და აშკარა ჭეშმარიტებაა დაავადებულ ფინანსიურ და ეკონომიურ ნიადაგზე იბადება ხალხის უკიდურესი გაჭირვებანი, უკმაყოფილება, შფოთი, ამბოხება და ბოლოს სასტიკი რევოლუციები. სწორედ ამ ნიადაგზე ემხობა მთავრობა და სახელმწიფო წყობილებანი, ამათი მეოხებით იცვლება მართველი ძალა-უფლება, ხალხს კი ხშირად რევოლუციის მონაპოვარი. პირიქით, საღი ეკონომიური ცხოვრება და საღი ფინანსები აძლევენ მთავრობას სიმტკიცეს და ხალხს სიმშვიდეს, ხელს უწყობენ ერის პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრების გაფურჩქნას და აღორძინებას. ეს ძირითადი მცნება, ეს საანბანო აქსიომა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შევიგნეთ ქართველებმა, ვერ შეიგნო იგი ჩვენმა მთავრობამ და თუ შეიგნო, ჯეროვანად აქამდე ვერ გაარკვია, ვერ გადასჭრა ფინანსიურ-ეკონომიური საკითხები და მათი მეტად რთული მაგთულები. და აი, ჩვენი ტრაგედიაც ამაშია!...

— „ზოგან თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგან თქმითაც დაშავდების," ბრძანებს ჩვენი სულმნათი შოთა. დადგა დრო როცა გაჩუმება არ შეიძლება, როცა სიჩუმე ლაჩრობაა და ქვეყნის ღალატი, როცა ხალხის და სამშობლოს უძვირესი ინტერესები ითხოვენ გამბედაობას, სიმართლის ხმამაღლა ღაღადებას, ცუდის დაწუნებას და კარგის მოწონებას...

უკვე 3 ნახ. წელია რაც რუსეთში მოხდა რევოლუცია და დაემხო ძველი დახავსებული რეჟიმი. უკვე 3 წელია რაც ამიერ კავკასია გამოეყო რუსეთს და იწყო დამოუკიდებელი ცხოვრება, უკვე 2 წელი და 4 თვეა, რაც საქართველომ გამოაცხადა თავის სუვერენობა და შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა. ჯერ დაარსდა ჩვენში ინტერპარტიული, კოალიციური მთავრობა, შემდეგ კი რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ძალა-უფლება და მით პასუხისმგებლობა მიიღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. ამ დღიდან ჩვენი მთავრობა სავსებით შეიქნა სოციალისტური, სოციალდემოკრატიული, ამ პარტიის ყოველივე ნაკლით და ღირსებით აღჭურვილი.

უნდა ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და მთავრობამ მალე აუღეს ალღო ცხოვრების და ისტორიის ჩარხის ტრიალს, უარყვეს პოლიტიკაში თანდათანობით ცენტრალისტური სოციალისტური ლოზუნგები და უტოპიები, უარყვეს რუსეთის დამღუპველი ორიენტაცია, გადადგეს ნებით თუ უნებლიეთ „იძულებითი" ნაბიჯები, აიღეს სწორი გეზი და დაადგნენ პოლიტიკაში ნამდვილ ეროვნულისა და ასე თუ ისე დემოკრატიულ გზას; და თუ ამის გამო ისინი ერთის მხრით ძლიერ დაშორდნენ თავიანთ ჩრდილოეთის ოსტატებს და ბოლშევიკთა იმპერიალიზმებს, სამაგიეროდ მეორეს მხრით მათ ჰპოვეს პრინციპი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისა და დაცვისა. ასეთი სწორი გზა მიუთითა მათ თვით ისტორიამ და ქართველი ერის კეთილგონიერებამ. მათაც აუღეს ალღო.

სამწუხაროდ იგივე არ ითქმის ჩვენი მთავრობისა და სოციალ-დემოკრატების აგრარულ, ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკის შესახებ.

ცუდი იდეური მემკვიდრეობა მივიღეთ რუსეთიდან. 117 წლის მონობამ დაგვასო თავის მძიმე დაღი. რუსეთის პოლიტიკურ-სოციალურმა რევოლუციამ სავსებით მოგვახვია თავზე ფინანსიურ-ეკონომიური და საზოგადოებრივ სფეროში სწორედ ის უხეში ლოზუნგები, მეთოდები და უტოპიური ცდანი, (ექსპერიმენტები), რომელთა მეოხებით დღეს ნადგურდება და იღუპება მთელი რუსეთი. ჩვენში შექმნილი კომისარიატები, მუშა-სალდათთა და გლეხთა საბჭოები, პროფესიონალური კავშირები, მიწების ჩამორთმევა, და საერთოდ აგრარული პოლიტიკა. სოფელ-ქალაქებში სახლების, ქარხნების, სარდაფების, საქონლის და მაღაზიების კონფისკაცია-რეკვიზიციები, სასურსათო საბჭო-კომიტეტები, მომარაგების სამინისტროები, ზოგიერთ საქონლის მონოპოლიზაცია, კერძო ინიციატივის სასტიკი შეზღუდვა, ერთ დროს ბანკების ოპერაციების შეჩერება, კერძო მრეწველობათა შეფერხება, ნამდვილი კომერციის (და არა სპეკულიაციის) შეჩერება და მოსპობა, სოვდაგრების გაკოტრება, მრავალ მესაკუთრეთა გაღატაკება, ბინების რეკვიზიცია და მათი ქირების დაცემა, კოლექტიური წარმოებათა შექმნის ცდა, მუნიც პალიზაცია, სოციალიზაცია, სატარიფო პოლიტიკა, ერთი მუჭა პროლეტარიატის გაბატონება, დიქტატურა მთელს ხალხზე და აჩქარებული დაკმაყოფილება. ინტელიგენტ მუშაკთა მიმართ უყურადღებობა, სოციალური დახმარებანი და თვით ბონების ასე უხვად ჭრა და ბაზარზე გამოშვება, ყოველივე ეს და სხვა კიდევ მრავალი გადმონერგილია ჩვენში რუსეთიდან და შედეგია ჯერ კერენსკის მთავრობის, შემდეგ კი ლენინ-ტროცკის და საზოგადოთ რუსეთის კომუნისტებისადმი ბრმა მიბაძვისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბოლშევიკები რუსეთში მოქმედობენ პირდაპირ გაბედულად თავისებური ლოგიკით, ვითომც ქმნიან სოციალიზმს, კომუნიზმს,ართმევენ ყველაფერს მესაკუთრეებს, როგორც სოფლად, ისე ქალაქებში, როგორც უძრავს ისე მოძრავ ქონებას და ვითომც და პროლეტარებისა და ღარიბ გლეხების და აგრეთვე ბოსიაკებისთვის დასაპირებლად. თვით სოფლის და ქალაქის „ბურჟუებს" ჰკლავენ და ძარცვენ. ჩვენი მენშევიკები კი მოქმედობენ უფრო ფრთხილად წყნარად, თავაზიანად და თანდათანობით, მოქმედობენ უმუშტოდ და უხისხლოთ, მხოლოდ სურთ დაუახლოვდნენ ამ ნელი სიარულით იმავე მიზანს, რასაც ეტრფიან რუსის ბოლშევიკები, ე. ი. დ ამყარონ საქართველოშიც „სოციალისტური სამოთხე". (იძულებული ვხდები ავღიარო ეს სიმართლე.)

— კმარა, ბატონებო! ჩრდილოეთისკენ ცქერა ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის; რუსეთის მაგალითები ჩვენ დაგვღუპავს ერთიანად! რუსეთი დიდია, ჩვენ კი მეტად პატარა, მასთან აყარებაა მტრებით გარემოცული. რუსეთმა შეიძლება მოითმინოს ბოლშევიკთა უცნაური ექსპერიმენტები, რადგან მეტად დიდია, თუმცა განახევრდა ხალხით, ქართველ ერს კი ასეთი უნიადაგო ცდანი მისპობს ერთიანად. ხომ ხედავთ! წელს პურის, სიმინდის, ხილის და ღვინის მეტად დიდი მოსავალი გვაქვს, მიუხედავათ ამისა გირვანქა 3 კაპიკიანი პური ღირს 120 მანეთი, კაპიკიანი ჰადი 60 მანეთი გირვანქა ხილი 70—80 მ., ბოთლი ღვინო 250 მან. და სხვ. რაც შეეხება შაქარს, ფართალს, ფეხსაცმელს და საერთოდ ფაბრიკატებს, ამაზე ხომ მეტია ლაპარაკი! და ეს საარაკო სიძვირე კი არ შეჩერებულა, არამედ სულ ზეით და ზეით იწევს, არ ვიცით კი როდის იქნება ბოლო! დღეს უკვე 3 და 2 მანეთიანები მოისპო, თუმნიანი იქცა კაპიკის ნაცვლად.

აი, ამ საშინელ მოვლენას მიაქციეთ ყველამ ჯეროვანი ყურადღება, ვისაც კი გიყვართ ხალხი და სამშობლო!..

პოლიტიკაში და სახელმწიფოს აღმშენებლობაში უკვე დავადგით წმინდა ეროვნულს და დემოკრატიულ გზას, დროა არის ფინანსიურ, აგრარულ და ეკონომიურ პოლიტიკაშიაც ზურგი ვაქციოთ რუსეთს, უარვყოთ მათდამი მავნე მიბაძვა, მათი დამღუპველი მეთოდები, პირი ვიბრუნოთ დასავლეთით, განათლებულ ევროპისაკენ და ფინანსიურ ეკონომიურ დარგშ აქ ავიღოთ მათგან მაგალითები. ნუ გვინდა ლენინ-ტროცკების, გოლდმანების და ვოიტინსკების მავნე რეცეპტები! მაგათმა დაღუპეს რუსეთი. ნუ ვცდილობთ გადავხვა უკეთ ისტორიის ჩარხს! ჩვენ ევროპის განათლებულ ერებს ვერ მივცემთ მაგალითებს; პირიქით ევროპა ჩვენზე წინაა 200—300 წლით კულტურით, ტეხნიკით, ცოდნით, პოლიტიკით, სოციალურად და ეკონომიკით. მაშ ჩვენ ამ ევროპისაგან უნდა ავიღოთ მაგალითები, როგორც სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, ისე საზოგადოებრივ, ეკონომიურ და ფინანსიურ ცხოვრებაში. ჩვენ გვეწვიენ იშვიათი სტუმრები, ევროპის სოციალისტურ დემოკრატიის საუკეთესო ბელადები, ბ.ბ. ვანდერველდე მაკდონალდი, შოუ და სხ. დარწმუნებული ვარ, რომ ესენი ფინანსიურ-ეკონომიურ პოლიტიკაში ბევრს რამეს არ მოუწონებენ ჩვენს მესვეურებს და პირიქით მათ ზეგავლენით ჩვენში ბევრი რამ შეიცვლება ფინანსიურ ეკონომიურ მეთოდსა და ექსპერიმენტებში. ღმერთმა ნებოს!

მსოფლიო ომმა და რევოლუციამ ბევრი რამ შეაგნებინეს ევროპის სოციალისტებს. ვისწავლოთ მათგან ჭკუა და გონიერება.

ჩვენმა აგრარულმა და ფინანსიურ-ეკონომიურმა პოლიტიკამ, ჩვენმა რეკვიზიციებმა და უხეშათ მოწყობილმა მონოპოლიებმა დიდათ დააფრთხეს ევროპა-ამერიკა და დაუკარგეს ჩვენდამი ნდობა. ასეთი მოვლენა კი დამღუპველათ მოქმედობს ჩვენს გარე ვაჭრობაზე, უცხო კაპიტალის ჩვენში დამყარებაზე, მრეწველობის აღორძინებაზე და ჩვენს ევროპასთან ურთიერთობაზე. ყოველივე ეს კი მეტად სიმძიმით აწვება ჩვენს ბონებს, ჩვენს ვალიუტას და საოცარი სისწრაფით სცემს შინ და გარეთ მათ ღირებულებას. ამ ჩვენი ბონების დაცემამ და მით გამოწვეულმა სიძვირემ მიიღო ამ ბოლო თვეებში კატასტროფიული ხასიათი. ამ უცნაური სიძვირით ჩვენ უახლოვდებით საშინელ ჯურღმულს. გაფრთხილდით, არ დაღუპოთ ქართველი ერი და სისხლით შეძენილი რევოლუციის მონაპოვარნი!..

სიმონ [illegible]ვარიანი.

(დასასრული იქნება)

## ოსმალეთის ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელი საქართველოში.

**საუბარი კიაზიმ ბეისთან.**

რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენლობასთან საქართველოში არსებული ესაუბრა ოსმალეთის ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელს საქართველოში კიაზიმ ბეის, რომელმაც შემდეგი აცნობა:

**ანატოლიის მთავრობა.**

„თქვენ უეჭველად იცით, რომ ანგორაში არსებობს დიდი ნაციონალური კრება. ამ მეჯლისს ყავს სამასი წევრი, მთელ მხარეში არჩეული მთავრობა, რომელიც არჩეულია ამ კრებისაგან სავსებით ეყრდნობა ხალხს, აი რატომ არის ის ისე ძლიერი, რომ იგერიებს გარეშე მტრებს და იცავს თავის უფლებებს. ხალხი იმდენათ აღფრთოვანებულია, რომ მიუხედავათ ომის გამო მოქანცულობისა, მაინც იბრძვის 5 ფრონტზე.

კრებამ თავის შემადგენლობიდან გამოყო 25—30 კაცი, ყველაზე უფრო ნიჭიერები და მცოდნეები სახელმწიფო მართვა-გამგეობის და ესენი შეადგენენ მთავრობას. ჩვენში სრულებით არ არის სატირალი განხეთქილებანი, როგორც ევროპაში; როგორც ერთია ხალხი ისე ერთი მთავრობა და ერთი პარტია გვყავს. ყოველ მინისტრს ყავს 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელთაგანაც ის რაიმე საჭირო საქმის დროს თათბირობს, რგოლი, რომელიც აერთებს ყველას იმათ და რომლის ირგვლივ არის შემოყრილი მთელი ხალხი, არის: „ხსნა ხალხისა და სამშობლოსი", ასეთია ჩვენი ლოზუნგი.

როგორც ამას გაზეთები იტყობინებიან, ხალხი სრულებით არ არის გატაცებული ცალკე პიროვნებით. ხალხი ახლა დამოუკიდებელია და იცის, რომ ის იბრძვის თავის დამოუკიდებლობისათვის, აი რატომ არ ზოგავს ის არაფერს და არც სიცოცხლეს. საქმე სრულებით არაა დამოკიდებული ქემალისტებზე და ჯემალისტებზე, როგორც ამას სტამბოლის გაზეთები სწერენ. თუ ქემალი არის ისეთი კაცი, რომელიც თავგამოდებით იცავს სამშობლოს, მაშინ მთელი ხალხი ქემალისტია და მუსტაფა ქემალი კი მისი მეთაური. ბევრი ხალხები განსაკუთრებით კი ქურთები, მიუხედავათ აგიტაციისა, რომელსაც აწარმოებდენ ჩვენი მტრები, დარჩნენ ჩვენი ერთგულები და ახლა, როდესაც გაიგეს საქმის ვითარება და ჩვენი საერთო ინტერესები, კიდევ უფრო დაგვიახლოვდენ ჩვენ. მათ თავისი ჩვენთან მეგობრობა დაამტკიცეს სომხებთან ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის მატერიალურ მდგომარეობაზე გადაუმეტებლად ვიტყვით, რომ ის ძალიან კარგ მდგომარეობაშია. ჩვენ შევადგინეთ ბიუჯეტი 55 მილიონ ლირის და კიდეც დავფარეთ ეს გასავალი ახლა ანატოლია გრძნობს თავს გაცილებით უკეთესად, ვიდრე ის ოდესმე იყო ის ცხოვრობს და კიდეც კმაყოფილია. სურსათი იმდენად ბევრია, რომ გასატანადაც კი რჩება ჩვენ ყველაზე მეტი მოთხოვნილება გვაქვს თიხის და თიჯის ჭურჭლების და მანუფაქტურის, მაგრამ ამ მოთხოვნილებასაც ვაკმაყოფილებთ ადგილობრივ წარმოების საშუალებით არავითარი ბლოკადა მოკავშირეების ჩვენ არ გვაშინებს. ბლოკადას დღემდის არავითარი გავლენა არ მოუხდენია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე.

როგორც თქვენც იცით, ჩვენ დღეს ვიბრძვით ხუთ ფრონტზე: დასავლეთით ბერძნებთან და ინგლისელებთან ადანის ფრონტზე—სომხებთან და ფრანგებთან ირაქში—ინგლისელებთან და აღმოსავლეთში—სომხებთან ახლა მთავარ ყურადღებას იპყრობს აღმოსავლეთის ფრონტი.

**სომხეთი და ოსმალეთი.**

პირველად ყოვლისა მე უნდა აგიხსნათ თუ რისთვის შევუტიეთ სომხეთს; მე ვიცი, რომ ეს საკითხი დიდ შეხლა-შემოხლას იწვევს ყველგან. ეს შეტევა ჩვენ დავიწყეთ ჩვენი სურვილების წინააღმდეგ მაგრამ გვაიძულა თვით დაშნაკელების პოლიტიკამ ჯერ კიდევ აპრილში ყოველგვარი ურთიერთობა იქნა შეწყვეტილი მრავალ მიზეზების გამო, მაგრამ რუსეთის ჩარევამ ამ საქმეში შეგვაჩერა ჩვენ. რამდენიმე თვის უკან ჩვენს

## [illegible]

### მოსკოვის ახალი ინტრიგები

თბილისის რადიომ შემდეგი ცნობა მიიღო:

მოსკოვი 17 | 11. გარეშე საქმეთა კომისარიატმა მიიღო ცნობები, რომ ინგლისს განზრახვა აქვს საქართველოს საშუალებით ბათომი ჩაიგდოს თავის ხელში. ამის გამო ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ჩიჩერინმა გაუგზავნა განცხადება, რომელშიაც იგი პროტესტს აცხადებს რუსეთის ქალაქის დაკავების განზრახვის გამო და ამბობს, რომ ბათომის დაკავება იქნება პირდაპირი მუქარა საბჭოთა რუსეთის და მისი მოკავშირის აზერბაიჯანის წინააღმდეგო. მოკავშირეების მხრივ ეს იქნება ცდა კავკასიაში ახალი ფრონტის შექმნისა და რუსეთში კვლავ ომში ჩარევისა. საბჭოთა რუსეთი ყოველ ზომებს მიიღებს ასეთი ცდის განხორციელების განზრახვის წინააღმდეგ. ასეთივე განცხადება ჩიჩერინმა გაუგზავნა საქართველოს მთავრობას.

მოსკოვი 17 | 10 „პრავდას" მეთაურში „ბაქოს კარებთან" სწერია: საბჭოთა რუსეთს სამხრეთიდან კვლავ საფრთხე მოელის. ვრანგელი დამარცხებულია მაგრამ ლონდონის და პარიზის ბირჟის მხეცები არ ცხრებიან. უკანასკნელ დროს ანტანტის პრესსა ხარსა სცემს ოსმალეთის მიერ ბათომის დაკავების განზრახვის გამო და ბრიტანეთის და საფრანგეთის ფლოტის გაგზავნის საჭიროების შესახებ. ყველაფერი ეს კაპიტალისტთა მხეცების ჩვეულებრივი მეთოდია, მაგრამ ფაქტია ის, რომ იწყება სამხრეთის ახალი ავანტიურა.

## მწარე ფიქრები.

### 4.

**ახალგორის ინკვიზიცია.**

ერთმა ახალგაზრდა გასათხოვარმა ქალმა შემდეგი მიამბო:

„ჩემს ძმას, რომელიც რკინის გზაზე მსახურობს, დუშეთის მაზრაში, ახალგორის ახლოს აქვს პატარა მამული. მე ძმასთან არ ვცხოვრობ. მკერვალი ვარ და თავს ჩემი შრომით ვირჩენ, მაგრამ რადგან ჩემ ძმას არ ეცალა, მისი დავალებით წავედი ახალგორში ღალების ასაკრებათ. ჩვენი სოფელი ახალგორთან ახლო არის, მივედი ერთ ჩვენ ნაცნობს ოჯახში და დროებით იქ დავბინავდი. გლეხებმა ღალის მოცემაზე უარი განმიცხადეს. მივმართე საჩივრით ადგილობრივ კომისარს. კომისარმა მითხრა: ახლა სხვაგან მივდივარ. საღამოზე დავბრუნდები, კარგი ვახშამი მომამზადე და საქმეს გაგიკეთებო. ამ სიტყვებით კომისარი წავიდა, მე ვახშამის გაკეთება არ შემეძლო, რადგან მე თვითონ სხვისი სტუმარი ვიყავი, თანაც მეგონა, კომისარმა იქნებ იხუმრა მეთქი; მაგრამ საღამოზე ერთი ჩემი მოგვარე ქალი მოვიდა ჩემთან და მითხრა, კომისარი ჩემთან არის, ჩემთან წამოდი, ვახშამი ვაჭამოთ და საქმე გავაკეთოთო. გამომართვა ფული, იყიდა ვარიები და ამგვარად კომისარს თავისი მილიციონერებით გავუმასპინძლდით. ვახშამის შემდეგ მე სახლში წასვლა დავაპირე, მაგრამ დიასახლისმა არ გამიშვა: ღამეა, სად უნდა წახვიდე, კომისარს და მილიციონერს ძარში დავაძინებ, მე და შენ კი აქ ოთახში მოვისვენოთო. დავრჩი იქ იმ ღამეს. დავრჩი, მაგრამ გული როგორღაც ცუდად შემექნა, რაღაცა უბედურობასა ვგრძნობდი, ამიტომ ტანგაუხდელი მივწექი და ვეცადე, არ დამძინებოდა, მაგრამ წამთვლია და ძილში ვიგრძენი, რომ ვიღაცამ ხელი შემახო. თავზარდაცემული წამოვარდი და დავინახე რა, რომ თავზე კომისარი მადგა, შევკივლე და ვცადე, ხელიდან დავსხლტომოდი, მაგრამ ვერა გავაწყე რა. ჩემი მოგვარე ქალი ამ დროს ლოგინიდან წამოხტა და კარში გავარდა ლზე გამყიდა და გამწარებულმა საშინელი ყვირილი ავტეხე. დიდი ხნის ჭიდაობის შემდეგ კომისარს ალბათ შეეშინდა, ხალხმა არ გაიგოსო და გინებითა და მუქარით თავი გამანება.

მეორე დღეს წავედი ერობის თავმჯდომარესთან და შევჩივლე როგორც მოღალეებზე, ისე კომისარზე. თავმჯდომარემ მითხრა, რა ვიცით, ვინა ხარ, იქნებ ძმისაგან არა ხარ გამოგზავნილიო, მე წარვუდგინე ძმის წერილი. ამაზე მიპასუხა, იქნებ ეგ წერილი შენ თვითონ დაწერეო, აი თუ გინდა შენმა ძმამ თბილისიდან დეპეშა მოიწეროს და მაშინ ღალებს აგიკრებავთო. წამოვედი და თბილისში ეს ამბავი ძმას დეპეშით ვაცნობე, რაზედაც მეორე დღესვე ძმისაგან სათანადო პასუხი მივიღე. ამ დეპეშით მივედი ერობის თავმჯდომარესთან. იმან წაიკითხა დეპეშა და უკანვე გადმომიგდო, რა ვიცით, იქნება ამ დეპეშას სხვა იწერებაო. მე შევატყე რომ ჩემი ჩივილისაგან არა გამოვიდოდა რა, და ვუთხარი თავმჯდომარეს: ეს ყველა კარგი, მაგრამ კომისარს რომ ვუჩივი, ამას პასუხს რას მ ძლევთ მეთქი. საქმეს მერე გავარჩევ. გამოვედი გარედ დაღონებული და გადავსწყვიტე ტფილისში დავბრუნებულიყავი, მაგრამ ამ დროს ორი ჩემი ნაცნობი ქუჩაში ლაპარაკობდა და იმათთან მივედი. ერთი მეორეს ეუბნებოდა: ჩემი დაჭერილი ძმა როგორც იყო გავანთავისუფლეო. რანაირადაო? ჰკითხა მეორემ. ერობის თავმჯდომარეს ორასი თუმანი მივეცი და გაანთავისუფლაო, მერე მე მომიბრუნდნენ და მკითხეს: შენი საქმისა რა ჰქენიო. მე ვუპასუხე: რა ვქნა, მე ორასი თუმანი არა მქონდა; ვერ მივეცი და ამიტომ ჩემი საჩივარი არ მიიღო მეთქი, ალბად ვიღამაც ეს ჩემი სიტყვები გადასცა თავმჯდომარეს, რადგან საღამოზე მისი ბრძანებით მილიციონერებმა დამიჭირეს და სატუსაღოში წამიყვანეს. სატუსაღო წარმოადგენს ორ ოთახს, ერთ ოთახში ვიღაცა დატუსაღებული კაცი იჯდა, მეორე ოთახში მილიციონერები იდგნენ. მილიციონერებმა მითხრეს: მეტი ჯანი არ არის, ამ ღამეს აქ ჩვენ ოთახში უნდა იყოო. მერე თქვენ სადღა წახ

ტერიტორიაზე მოდიოდა გადმოხვეწილები რიცხვით 100 ათასი კაცი სომხეთის შეტევის გამო, მათ დატოვეს ყველაფერი და გამოიქცენ ჩვენ ვფიქრობდით გადაგვეწყვიტა ეს კითხვა მშვიდობიანი გზით და მივმართეთ სომხეთს შეეწყვიტა მხეცობა და აღვენიშნა საზღვრები, როგორც ამას საბჭოთა რუსეთი მოითხოვდა, ე. ი. პლებისციტის საშუალებით, მაგრამ სომხებმა ეს ჩათვალეს ჩვენ სისუსტეთ და ეყრდნობოდენ რა ევროპის დაპირებებს, უარყვეს ჩვენი წინადადება. ამის შემდეგ დაშნაკელებმა არამც თუ შეწყვიტეს თავიანთი სიმხეცე პირიქით კიდევ უფრო ავიწროებდენ და ძარცვავდენ მუსლიმან მცხოვრებლებს, მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიც გინდათ სარიყამიში, ბურაგელი, კარა-კურტი, კაგიზმანი, კულპი, სურალი და სხ. და სხ. გადაქცეული არიან ნანგრევებათ, მცხოვრებლები კი ნაწილი ამოწყვიტეს, ნაწილიც გაიქცა და მიიმალა ტყეებში.

გადავდივარ რა მეორე მიზეზზე, უნდა ვთქვა, რომ ის უფრო მნიშვნელოვანია სხვებზე ვინაიდან ეხება ოსმალების მიწებს: სომხეთი არ კმაყოფილდებოდა კავკასიის სომხეთით და „ოსმალეთის სომხეთის სახელით უნდოდა ჩაეგდო ხელთ ოსმალეთის ყველაზე ძვირფასი მიწები, როგორც მაგ: სივასი, აზრუმი, ერზინჯანი, მუში, ბითლისი, ვანი და სხ. სომხეთი მოითხოვდა რიზასაც შავი ზღვის ნაპირზე ამას გარდა დაშნაკელებს უნდოდათ მიეღოთ ადანის ოლქი, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა ოსმალებია.

ოსმალებს, რომლებიც მთელი საუკუნოებით ცხოვრობდენ თავისუფლათ და დამოუკიდებლებათ, შეუძლიათ დამარცხდენ ომში, მაგრამ არას შემთხვევაში არ შეუძლიათ აიტანონ დამარცხება. იმპერიალისტურმა სომხეთმა, ჩვენს მიმართვაზე მშვიდობიანათ გადაგვეწყვიტა სადაო საკითხები, მუქარით გვიპასუხა რომ ოსმალეთის საზღვრები განსაზღვრულია სამშვიდობო კონფერენციის მიერ სომხეთის ქარტა კი იქნება დახატული ვილსონის მიერ ჩვენ შეგვიძლია თქვენთან ლაპარაკი მხოლოდ სევრსკის ხელშეკრულობის ფარგლებში. მაგრამ რაც იყო, ის გაქრა. ჩვენ არ ვართ იმპერიალისტები ჩვენ შორს ვართ იმ აზრთან, რომ მოვსპოთ სომხეთი, ჩვენ გვინდა ვნახოთ თავისუფალი დამოუკიდებელი სომხეთი.

ჩვენ არ ვართ შურის მაძიებელნი და მალე ყოველგვარ დამნაშავეს შევიწყალებთ, სომხები დაინახვენ, რომ ანგორას მთავრობა იმას შვრება, რასაც ამბობს: სომხეთი დაამტკიცებს, რომ ჩვენ მიერ დაკავებულ ადგილებში არავითარ სიმკაცრეს ადგილი არ ჰქონია, და თუ სომხეთი ამას არ აღიარებს, ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ ყარსში მყოფის ამერიკის წარმომადგენლის დეპეშა (ედუარდ ჯაკსის—ადმირალ ბრისტელის მიმართ).

დასავლეთ ფრონტზე ჩვენი მდგომარეობა ურყევია. ნაციონალურ ჯარების სულიერი განწყობილება სამაგალითოა, ყველა ჯარის კაცები სამშობლოს სიყვარულით გატაცებული არიან.

ადანის ფრონტზე ფრანგების რიცხვი თვალსაჩინოთ შემცირდა, საფრანგეთის ხალხი მიხვდა სინამდვილეს და შეწყვიტა ჯარების გზავნა. იქ მხოლოდ მოხალისეები არიან. ჩვენმა ნაწილებმა ზღვის სანაპიროებს უკვე მიაღწიეს, ჩვენს ხელშია ურფა, მერეში, ხაყიანი და ტარუსი. მოწინააღმდეგე ალნტაბაში ალყა შემორტყმულია. იგი ლამობს ადანში და მერსინაში გამაგრდეს. სხვა ალაგები ყველა ჩვენს ხელშია. ქ. მოსულში ინგლისელებმა ნაციონალური ჯარებისაგან დიდი დამარცხება იგემეს. მათი სუსტი ნაწილები ახლა ზახოში (ქახოში) და მოსულში დგანან.

მესოპოტამიაში გაუწყვეტელი მოძრაობა ინგლისელების წინააღმდეგ ისევ გრძელდება.

**საქართველო და ოსმალეთი.**

შემდეგ საუბარში, ქიაზიმბეი საქართველოსთან განწყობილების საკითხს შეეხო.

„ოსმალეთისა და საქართველოს ხალხს შორის არ არის ისტორიული შუღლი, მტრობა. წინააღმდეგ—მაჰმადიანებს ბევრი კეთილი ახსოვთ საქართველოსგან და მას ამიტომ დიდი პატივით ეპყრობიან. მაჰმადიანებმა, რომლებიც სომეხთაგან დევნას გაექცნენ და საქართველოში შეაფარეს თავი, ძმური დახმარება იგემეს ქართველებისგან. ჩვენი განწყობილება საქართველოსთან უფრო გაუმჯობესდება, მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავრობა ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებს, არ ეგება ანტანტას ანკესს და მომავალში მოსალოდნელია, რომ ყველა სადაო საკითხები მასთან ადვილათ მოგვარდება“.

**ოსმალეთი და აზერბეიჯანი.**

ბეჭვდითი ბიუროს თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს ის იმ ხმებს, რომელიც გავრცელდა ადგილობრივ პრესაში, ვითომ უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს ოსმალეთის ნაციონალურ მთავრობასა და საბჭოთა აზერბაიჯანის შორის, ქიაზიმ-ბეიმ უპასუხა:

„აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკა—ეს ძმური რესპუბლიკაა. მასთან, როგორც საბჭოთა რუსეთთან, ჩვენ შეკავშირებული ვართ ძალიან მტკიცეთ, დასავლეთის იმპერიალისტებთან საბრძოლველათ. არავითარი უთანხმოება და განხეთქილება ჩვენსა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის,—ისე როგორც საბჭოთა რუსეთთან, არც არის და არც იქნება, ყველა ეს პროვოკაციული ხმებია ჩვენი საერთო მტრების და მიმართულია იქითკენ, რომ დათესონ ჩვენს შორის შური და მტრობა. იმათ ჩვენ ვუპასუხებთ მხოლოდ ერთით: ჩვენი კავშირის გამაგრებით და გამტკიცებით“.

**ანგორა და სტამბოლი.**

სტამბოლის კაბინეთის გადადგომის შესახებ ქიაზიმ ბეიმ სთქვა შემდეგი:

„სტამბოლის ძველმა კაბინეტმა დაუთმო ადგილი ახალს, რომელშიაც ათ კაცამდის ნაციონალისტებია, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს კაბინეთი, ჩვენ არ შეგვეხება ყველა ისინი იძულებული იქნებიან გაუწიონ ანგარიში ანატოლიის მოთხოვნილებებს. დღემდის ჩვენ ვერ შევძელით გვლაპარაკა ინგლისთან, ვინაიდან ჩვენი პირველი პირობა იქნება ის, რომ მათ დატოვონ ჩვენი ადგილები და გავიდენ სტამბოლიდან, სმირნიდან და ბრუსიდან. მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ მათთან მოლაპარაკება.“

## ნიკოლოზ ნესტორის ძე ბაქურაძე.

დღეს, 14 გიორგობისთვის, შესრულდა ორმოცი დღე, რაც წუთისოფელს გამოესალმა და სამუდამოდ დახუჭა თვალები ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა, ნიჭით და ენერგიით სავსემ, ჩვენი პარტიის საუკეთესო წევრმა, ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტმა—ნიკოლოზ ნესტორის ძე ბაქურაძემ.

ნიკოლოზი დაიბადა 1898 წელს, თერგის ოლქის ოსეთში სოფ. ლარსში, სადაც მამა მისი ნესტორი (ქართულ დროულ გამოცემებში „ქართველი ოსეთში“ ფსევდონიმით ცნობილი.) მაშინ იქ მღვდლად მსახურებდა. მიუხედავათ იმისა, რომ ნიკოლოზს საქართველო თვალით არ ენახა და გარშემო სრულიად სხვა ტომის ხალხი ჰყვანდა შემოხვეული, მან თავის ნიჭის და მშობლების წყალობით სძლია ყოველ გასაჭირს, სამშობლო ენა საუკეთესოდ შეითვისა და 1910 წელს, როდესაც იმისი მამა ოსეთიდან გადმობინავდა სოფ. საყარაულოში (თიანეთის მაზრა), ნიკოლოზს ენის მხრივ სრულიადაც არ ეტყობოდა, თუ ის საქართველოს გარეშე იყო აღზრდილი და ამავე წელს ნიკოლოზი შევიდა ქართულ გიმნაზიაში, სადაც ქართული ენის გამოცდა საუკეთესოდ ჩააბარა. გიმნაზიის დასრულების შემდეგ ერთ წელიწადს მასწავლებლად იყო სოფ. საყარაულოში და წრეულს, ენკენისთვეში, შევიდა სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრონომიულ ნაწილზედ, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უდროვოთ მოუსწრაფა მას დღე. ნიკოლოზი იყო სამშობლოს დიდი მოყვარული და პატრიოტი, სადათ და ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული ჩვენი აწინდელი მდგომარეობა და შეგნებულად თვალყურს ადევნებდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას.

კერძო ცხოვრებაში ნიკოლოზი იყო მეტის-მეტად წყნარი, მშვიდი, პატიოსანი და დარბაისელი ახალგაზრდა, ყველას მშველელი და დამრიგებელი რითაც კი შეეძლო, რის გამო მან დაიმსახურა საერთო ნდობა და სიყვარული არა თუ მარტო თავის ტოლ-ამხანაგებისა, არამედ ფართო მასისა, რომლის შუაც ის აღიზარდა და ტრიალებდა ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

განსვენებული ჩვენი პარტიის ერთ საუკეთესო წევრთაგანი იყო, სიტყვით და საქმით ხელს უწყობდა პარტიის იდეების გავრცელებას, ყველას—დიდსა და პატარას ამხნევებდა პარტიულ მუშაობისათვის და უნერგავდა იმედს და რწმენას, რომ ახლო მომავალში ჩვენი მიმდინარეობა გაიმარჯვებს—და სამშობლოც გადარჩება საბოლოვოდ დაღუპვასო.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი საუკეთესო ნორჩო ქართველო!

**მ. შამანაური.**

## სამხატვრო ქრონიკა.

**სახელმწიფო ოპერის თეატრში.**

ნოემბრის 19-ს: პირველად ქართულ სცენაზე ღალატი მუსიკა იპოლიტოვ-ივანოვისა, თარგმანი ფოცხვერაშვილისა. სიუჟეტი აღებულია ალ. სუმბათაშვილის ცნობილ ტრაღედია „ღალატიდან“. ზეინაბის როლს შეასრულებს ალეშკო, რუქაიას—ბურაგო ცეხანოვსკაია, ირაკლის—სარაჯიშვილი, ოთარბეგს—ელიოზაშვილი, სულეიმანს—საბინინი. დეკორაციები და კოსტიუმები ახალი; ბალეტს დადგამს მ. მორდკინი ოპერას დადგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორი—სტოლერმანი.

ნოემბრის 20-ს: მორდკინის ბალეტი „კოპელია“.

ნოემბრის 22 ს: ღალატი.

დასაწყისი 8 საათ.

**სახელმწიფო დრამის თეატრში.**

ნოემბრის 20-ს: უგვირგვინო მეფენი, ალ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვრის ვალ. სიმონ-ერისთავისა, აკ. ფალავას რეჟისორობით.

ნოემბრის 21-ს: მსხვერპლი, ი. გედევანიშვილისა. ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. სიდომონ-ერისთავისა. რეჟისორი—ა. წუწუნავა.

# ჩვენი კორესპონდენტები

## ქუთაისი.

ჩვენ ქალაქს მრავალი გამგეობა და თავი გამოუცვლია, მაგრამ მის ცხოვრებაში ერთი რამ მუდამ უცვლელი რჩებოდა:—ყოფნა ტალახში და სიბნელეში. როგორც კი გასცილდებით ოდნავ ქალაქის ცენტრს, იწყება ტალახიანი ქუჩები,—რომელნიც დარშიაც და ავდარშიაც მუდამ ერთდაიმავე მდგომარეობაში იმყოფებიან. მცხოვრებთა 95 პროც. რომელიც გარეთ უბნებში სცხოვრობს და რომელნიც ოდნავ არიან დაშორებულნი ცენტრს, დიდ გაჭირვებას განიცდიან ამ მხრით და დიდი ხანია, რაც გზების საქმე საზრუნავად გახდომია, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა ამ საქმისა ჯერ არ მომხდარა და ისეთი მამების ხელში, როგორნიც დღეს არიან, არც მოხდება ტალახს და უგზოობას საშინელი სიბნელეც ზედ ერთვის. უწინ თუ ქუჩები არ იყო გაკეთებული, ოდნავ მაინც ანათებდენ მას, რომ მოქალაქეს საშუალება ქონოდა ღამით შინ მისულიყო, ახლა, რაკი ნავთით განათება მოსპეს, მთელი ეს ნაწილი ქალაქისა პირდაპირ მოწყვეტილია ყველაფერს, რადგან ამ დროს გარეთ უბნების ქუჩებში სიარული ყოვლად შეუძლებელია. მართალია ახლა სანათი მასალის კრიზისია, მაგრამ როცა ნავთი ბლომათ გვქონდა, მაინც არავინ ფიქრობდა ამ ქუჩების განათებაზე და საბრალო მოქალაქე დაბნელდება თუ არა შინ უნდა იჯდეს. მაგონდება ერთი შემთხვევა: უკანასკნელ საქალაქო არჩევნების დროს, როცა სოციალ დემოკრატების პლაკატ აკრულ ავტომობილს მოუხდა გავლა ერთერთ ასეთ ქუჩაში და ტალახში ჩაიფლო, ბევრი შრომა დახარჯეს მისი ტალახიდან ამოსათრევათ, მცხოვრებლები სიცილით ამბობდენ: გირჩევნიათ ეს გზა გააკეთოთ, თორემ მომავალშიაც ასე დაგემართებათო.

შეიძლება ითქვას, ყოველი მოქალაქე მოწადინებულია ამ უბედურების ასაცდენათ არავითარი შრომა არ დაზოგოს და თავისი ხარჯით გააკეთოს ეს ქუჩები, მხოლოდ საჭიროა ინციატივა, რომელიც გაუძღვება ამ საქმეს და კეთილად დააგვირგვინებს. ამ ინიციატივას ქალაქის გამგეობისაგან და საბჭოსგან მოელიან, რადგან პირველი სიტყვა ასეთ საქმეებში მათ ეკუთვნით; ქალაქის გამგეობა კი სდუმს, როგორც მას სჩვევია და მცხოვრებლები კი საშინელ გაჭირვებაში არიან.

უნდა აღინიშნოს, ქუთაისის მამებს, ტრადიციით მოსდევთ გარეუბნებისთვის ყურადღების მიუქცევლობა და ეს ტრადიცია ვერც სოციალდემოკრატიულმა საბჭომ და გამგეობამ დაარღვია, თუმცა მათ ქუთაისის „მშრომელი დემოკრატიის“ ინტერესების დამცველად მოაქვთ თავი და ეს „მშრომელი დემოკრატია“ სწორედ ამ უბნებში სცხოვრობს. ნუ თუ ეს არის ამ დემოკრატიის ნდობით აღჭურვილთა საქმე ამრჩეველთა საკეთილოდ გაკეთებული, ნუ თუ იმით გადაუხადეს ეს ნდობა, რომ თუმცა ღარიბნი და უსაზღვრო გაჭირვებაში მყოფნი, არ ზოგავენ შრომას და ყოველგვარ საშუალებას ზემოაღნიშნულ უბედურების ასაცდენად, ინიციატივას არ იღებენ და არ უნდათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ.

მაგრამ შეიძლება გამგეობას არ სცალია ამისთვის, საკითხავია ვისთვისღა სცალია მას, თუ არა ხალხისთვის?

მომავალ არჩევნებში უმრავლესობის პარტია, რომელსაც საბჭოც და გამგეობაც ერთიანად ეკუთვნით, ხალხისგან ნდობას ნუ მოელის.

**საფიჩხიელი.**

ებითო. მილიციონერები წავიდნენ, დავრჩი მარტოდ ბნელაში, კარები ჩავკეტე, ტახტზე ჩამოვჯექ და ტირილი დავიწყე. შუაღამისას კარებს ვიღაცა მოადგა და დააკაკუნა. ჩემ შეკითხვაზე, გამიძახა: მილიციონერი ვარ, კარები გააღეო. შემდეგ დამიყვირა: შე ოხერო, მემ ოთახში არ მიშვებო? გულის კანკალით კარები გაუღე და უკან გამობრუნება ველარ მოვასწარი, რომ მეც ძირს იატაკზე წამაქცია. საშინელი ყვირილი მოვრთე: მიშველეთ, ვინა ხართ მეთქი ქრისტიანი! ყვირილზე შემოცვივნდა ოთახში ორი მილიციონერი, მთვრალი გახეთქილი ამხანაგი გულიდან მოგლიჯეს და კარში გაათრიეს. პატარა ხანს უკან, არ გასულა ერთი საათი, ოთახში შემოვიდა ერთი მილიციონერთაგანი და მითხრა: ჩემო დაო, შენი ამ ოთახში ყოფნა შეუძლებელია, ჩვენი ამხანაგი მთვრალია, კიდევ შემოგეჭრება, როგორც ძმა ისე გეუბნები, წამოყევი და ისეთ ადგილას მიგიყვან, საცაც ვერავინ ვერ მოგაგნებსო. ამ სიტყვებით გამიძღვა წინ და კარში გამოვედით, პატარა ხანს უკან ამ მილიციონერმა მიმიყვანა ორსართულიან შენობასთან, ძირის სართული ცარიელი ოთახი იყო სავსე ნაგავითა და ნეხვით. შეშინებულმა ვუთხარი, აბა, ამ ოთახში როგორ გავათიო მეთქი ღამე და გამობრუნება დავაპირე, მაგრამ მტაცა ხელი, შემათრია ოთახში და დამიწყო ბღლაძუნი. აქ კი ველარც ჩემმა მუდარამ გასჭრა და ველარც ყვირილმა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა მცემდა თავში და პირში, ცხვირიდან, ყურებიდან და პირიდან სისხლი თქრიალით მდიოდა (ამ ქალის მთლად შესისხლიანებული ტანისამოსი ამ ჟამად გამომძიებლის ხელშია). ჩვენმა ბრძოლამ დიდხანს გასტანა, ბოლოს გული შემიწუხდა და ასე გულშეწუხებული გათენებამდის ვეგდე გათენებისას ძალ ნაცემმა და სისხლ დაცლილმა, როგორც იყო, ფორთხვით, გარედ გამოვცდი, იქვე ქალაქის საავადმყოფოს ცნობა დავინახე, მივცოცდი, მაგრამ კიბეზე ველარ ავედი და ისევ გული შემიწუხდა. გონს მოვედი მხოლოდ საავადმყოფოში. ადგილობრივ ფერშალს დავენახე, ავეწიე და შიგნით შევეყვანე.

მოვიდა ექიმი, მოვიდნენ სხვებიც, შეატყობინეს ერობის თავმჯდომარესაც, რომელსაც ჩემი თავგადასავალი რომ უთხრეს,

სთქვა: ეგ გაფუჭებული ქალია, ქალაქში საროსკიპოში იყო, რა ყურადღებას აქცევთო. ამ სიტყვებზე შორიდან ყური მოვკარი და ექიმს შევეხვეწე: ექიმო, გთხოვთ, გემუდარებით, ახლავე, ამ საათშივე შემამოწმოთ, გაფუჭებული ვარ, თუ არა მეთქი. ექიმმა შემამოწმა და ყველას განუცხადა: ქალწული ყოფილა და მილიციონერს წუხელი გაუპატიურებიაო (ამ ექიმის მოწმობა და ქალის საცვალიც ამ ჟამად გამომძიებლის ხელშია). ექიმის ამგვარმა განცხადებამ ცოტა არ იყოს ჩააფიქრა ჩემი მტარვალები, მაგრამ ჩემი ტანჯვა-წვალება ამით არ გათავდა. აღშფოთებულმა ექიმმა განაცხადა: ამ საქმეს უმაღლეს მთავრობას ვაცნობებთ, მაგრამ შეაშინეს, ერობის თავმჯდომარე და მილიცია არ გაზოგინებენო და ისიც ჩაჩუმდა. მე ავად ვიყავი, სოფელში ველარ წავედი, მინდოდა სადმე ოთახი მექირავნა, მაგრამ იმათივე შიშით არავინ მომაქირავა. ბოლოს ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა შემიბრალა და თავისთან მომათავსა. ლოგინში, ვიწექი ერთი თვე. ამ დროს განმავლობაში ერობის თავმჯდომარე და კომისარი ხან მოკვლას მემუქრებოდნენ, ხან მაშულებს მიგზავნიდენ: რაც იყო, იყო, ნუ იჩივლებო, ამასთან ჯერ შემომძლიეს 3000 მან., შემდეგ 5000 მან. მერე 20,000 მანეთამდე ავიდნენ. მაგრამ მე გავიძახოდი: რაღად მინდა თავი ცოცხალი, რომ მომკლათ, ჩემთვის უფრო კარგი იქნება მეთქი. და მართლაც მოკვლას მთელი თვის განმავლობაში ყოველდამე ველოდი. გასაკვირველი უფრო ის არის, რომ ადგილობრივი მღვდელი რამდენჯერმე მაშუალათ მოვიდა და ჩამჩიჩინებდა: მართალია ქალწული ყოფილხარ, მაგრამ ეგ ვინ იცოდა, რაც მოხდა, უნდა აპატიოო ფულები მიიღე და ნუ იჩივლებო. მაგრამ ჩემსას არ ვიშლიდი, და ვცდილობდი, როგორმე ქალაქში გამოვპარულიყავი, მაგრამ ეს ისეთი ადვილი საქმე არ იყო. ყველგან გზები შემიკრეს, ყველას ემუქრებოდნენ, ვინც გააპარებს, ცოცხალს არ გადავარჩენთო და დახმარებაზე ყველა უარს მეუბნებოდა. ისიც კარგად ვიცოდი, რომ გამოვპარულიყავი, გზაში მიმკლამდენ. ასე გასინჯეთ, ახალგორში იმ დროს ამოვიდა ერთი მომრიგებელი მოსამართლე მივედი, ავუხსენი ჩემი გაჭირება, დაჩოქილი შევეხვეწე, ტფილისში წამიყვანეთ მეთქი, მაგრამ იმას შეეშინდა და უარი მითხრა. ვიყავი ამ შიშში და გაჭირვებაში. ბოლოს, ერთი ჩემი ნაცნობი ქალი მოდიოდა ტფილისში, დავსწერე წერილი და ამ ქალს გამოვატანე ერთ ჩემ ნაცნობ ქალთან, რომლის ქმარს დიდი თანამდებობა უჭირავს და რომელთანაც ხშირად საკერავზე ვმუშაობ. ამ ქალისა და მისი ქმრის მადლობელი უნდა ვიყო, რომ დღეს მე ცოცხალი ვარ და ჩემი მტარვალები პასუხის გებაში მიცემული—დაამთავრა საბრალო ქალმა, რომელსაც დღესაც, ორი თვის შემდეგ, მილიციონერის მუშტების ნიშნები სახეზე ეტყობა და თვალებში ჯერაც არ გაჰქრობია ის უზომო შიში, რომელიც მან განიცადა.

მოხუცი.

მინაწერი: ამ ქალის ასე უბრალოდ და მარტივად ნაამბობ თავგადასავალს საჭიროდა ვსთვლი დავუმატო ზოგიერთი დამახასიათებელი წვრილმანი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასტიკი ზომები მიიღო და ამ ჟამად საქმეს იძიებენ.

დაატუსაღეს ერობის თავმჯდომარე, კომისარი და ორი მილიციონერი, მაგრამ გამომძიებელმა თავმჯდომარე და კომისარი თავდებობის ქვეშ გაანთავისუფლა. თავი და თავი დამნაშავე მილიციონერი დაჭერის შემდეგ გაიქცა და დღესაც ვერ უპოვნიათ, თუმცა, როგორც ამბობენ, გაქცევის დროს ტყვიით დაუჭრიათ.

ხოლო გამოძიება ჯერ-ჯერობით ასეთ ცნობებს გვაძლევს. მილიციონერებმა გამომძიებელს განუცხადეს, ერობის თავმჯდომარემ და კომისარმა გვითხრეს: ეგ, გაფუჭებული ქალია, წაიყვანეთ და რაც გინდა ის უყავით! ამას გარდა თავმჯდომარის მეუღლემ განაცხადა: ღამე მაგ ქალის წივილ კივილი შემომესმა, ქმარი გავაღვიძე და ეს გარემოება ვუთხარიო. ქმარმა მიპასუხა: მაგისთვის ეგ კიდევ ცოტა არისო! გამოძიებამ აგრეთვე აღმოაჩინა, რომ დუშეთის სამაზრო ერობა საქმის გამომჟღავნებამდე რამდენჯერმე შეეკითხა თურმე ახალგორის ერობას: რა ჰქენით? მაგ ქალის საქმე მოაგვარეთ, თუ არაო!!

და ამის შემდეგ ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ელიავა კომიტეტის სხდომაზე სამილიციო დებულების შესახებ მსჯელობის დროს აცხადებს: „მილიციის ახალ დებულებაში შეტანილია ორი ცვლილება 1. პატარა ქალაქების მილიციის უფროსი უნდა ემორჩილებოდეს სამაზრო მილიციის უფროსს და 2. შინაგან საქმეთა მინისტრს შეუზღუდველი უფლება უნდა ჰქონდეს მილიციაში მოსამსახურეთა დათხოვნისა. ეს ორივე დებულება შეუძლებელია მივიღოთ, რადგან ქალაქების სრული პატრონი თვით ქალაქები უნდა იყვნენო. ასე განაცხადა ნ. ელიავამ და მთავარმა კომიტეტმაც უარჰყო ორივე დებულება.

სამი წელიწადია დამოუკიდებლად ვმართავთ ჩვენს სახელმწიფოს და მგონი, დროა ჩავხვდეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზომი და სასწორი ჩვენ არ გამოგვადგება. დროა, ჩავხვდეთ, რომ ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეები, რაც უფრო დაშორებულია ჩვენს კულტურულ ცენტრებს, მით უფრო ველურია და გაუნათლებელი. დროა აგრეთვე ჩავხვდეთ, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით მოუწყობელნი ვართ და არა გვყავს იმდენი მომზადებული პიროვნებანი, რომელთა მეოხებით შესაძლებელია სახელმწიფო კარგი აპარატის შექმნა. დროა, ლამაზ თეორიებს თავი გავანებოთ და სინამდვილეს მივუბრუნდეთ. დარწმუნებული იყავით, რომ ზემოაღწერილი შემთხვევა ჩვენს სოფლებში და დაბებში პირველი არაა, ბევრი სასაძაგლე ხდება ყველგან, მაგრამ ჩვენამდე არ აღწევს.

მოხუცი.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი სპ. კედია.

**თვალების ავადმყოფობის ექიმი**
**მ. გოლუშტეინი**
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
**რეზო მაჩაბელი**
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

ექიმი
**დ. ი. ჯაფარიძე**
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 17—49.

ქუთაისი
ექიმი
ისააკ იაკობის-ძე
**მინოვიჩი**
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ქოლოშვილისა № 3208.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის ...
**ი. გ. ...**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ნველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) კვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ცხვრის სასულე—მილას ავათმყო... ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის... თოდებით. ვიძლევი დარიგებას ოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა-...ნება). დილის 9—10 საათ. და 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ...

ექიმი
**ე. ი. კალანდაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავა... მყოფებს დილის 8—12 ს. ვენერ... სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7... გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. თხე ზემელის აფთიაქთან. ტელეფ. 18—95. 3228

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება.
ექიმი
**მ. ო. ზანდუკელი**
შინაგან და ნერვების ავადმყ...
ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანას... ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207

**მატარებელთა მიმოსვლა**

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 1.. 53.

მატარებ. № 3. № 7.
თბილისიდან ფოთში საღამ. 7 ს. 14

მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10 37

მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილის 3 20

მატარებ. № 140.
თბილისიდან სალოღში დილის 9 ...

მატარებ. № 390.
თბილისიდან სანაინში დილის 7 45

მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 30

**თბილისში მოდ. ს.**

მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისისკენ გამოდ... საღ. 10 ს. 27
თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46

მატარებელი № 7.
ფოთიდან თბილისისკენ გამოდის ... მის 12 ს. 2..
თბილისში მოდის დღის 2 ს. 13

მატარებელი № 22.
ბათომიდან თბილისისკენ გადის ... მის 12 ს. 58

მატარებელი № 19.
ხაშურიდან თბილისისკენ მოდის ... მის 2 ს. 16
თბილისში მოდის დილის 8 ს. 2..

მატარებ. № 141.
სალოღლიდან თბილისისკენ გა... დილის 9 ს 10
თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36

მატარებ. № 416.
სანაინიდან თბილისისკენ გადის ... ლის 8..
თბილისში მოდის დღის 4 ს. 53

მატარებ. № 3.
კახეთიდან თბილისში გადის ... 4 ს. 2..

სამობილიზაციო.

# განცხადება.

იმ რთულ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქნა საქართველოს რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოებში მთავრობამ დაადგინა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და მისი თავისუფლების დასაცავად ნაწილობრივი

## მობილიზაცია.

ამ მიზნით გაწვეული იქნებიან ჯარში რესპუბლიკის ქვეშევრდომი სათადარიგო ჯარის კაცნი და მოლაშქრენი

## დაბადებულნი

## 1890, 1891, 1892, 1893 წლებში.

ხსენებულ წლებში დაბადებულნი სათადარიგო ჯარის-კაცნი და მოლაშქრენი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ თბილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა) ამა წლის 10 ნოემბერს დილის 10 საათზედ ჯარში წასასვლელად.

გაწვევისაგან განთავისუფლება და ვადის გადადება სამოქალაქო სამსახურზე მყოფ მოლაშქრე და სათადარიგო პირთა მოხდება 1915 წელში გამოცემულ „სამხედრო ბეგრის დებულების“ 33 მუხლის დამატების მიხედვით რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ამა წლის 11 მაისის დადგენილების მე 3 მუხლის 1, 2, 3, 4 და 5 პუნქტების თანახმად. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 წ. № 103) რომელთაც უნდა წარმოადგინონ სათანადო მოწმობა.

სამოქალაქო, საზოგადო და კერძო სამსახურზე მყოფ მოლაშქრე და სათადარიგო პირნი: რომლებიც თანამდებობის მიხედვით არ თავისუფლდებიან გაწვევისაგან, უნდა დაუყონებლივ იქმნენ დათხოვნილნი სამსახურიდან. ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 2 დღისა დღიდან მობილიზაციის გამოცხადებისა.

ამა წლის მორიგი გაწვევა (დაბადებული 1900 წელს) გადადებულია მთავრობის განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

1920 წელი 9 ნოემბერი
დილის 10 საათი.

თბილისის ქალაქის გ...